

საქართველოს ფინანსური უნივერსიტეტი
ჰიდროგეოროლოგიის ინსტიტუტი

შ0360 № IHM-14-17- GTU-2434

“ გ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი ————— თ.ცინცაძე
25 დეკემბერი 2014 წ.

ზგაშსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენის და
ზგაშსაშიშროების მახასიათებლების დაზღვნის საფუძველზე
ზგაშსაჭირო დოკუმენტის შემუშავება

(დასკვნითი ანგარიში)

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე,
წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური
პროგნოზების განყოფილების გამგე,
ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი

6. ბეგალიშვილი

პასუხისმგებელი შემსრულებელი:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

მ. სალუქვაძე

თბილისი
2014 წ.

“ ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენის და ზვავსაშიშროების მახასიათებლების დადგენის საფუძველზე ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება”

ანგარიშის რეზიუმე

თემის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულებულია.

ანგარიშში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების გამოთვლის შედეგად გამოვლინდა 600 მეტი ზვავი რომლებიც დასახლებულ პუნქტებს ემუქრება.

ლიტერატურული წყაროების, საარქივო მასალების და მრავალწლიური ექსპედიციური კვლევის ანალიზის საფუძველზე (მასალები მოპოვებულია 1846 წლიდან) დადგინდა 343 დასახლებული პუნქტი, რომელთაგან 78-ში სხვადასხვა წლებში აღინიშნებოდა მსხვერპლი და ნგრევა, 82-ში ნგრევა, 63-ში დაზიანება, ხოლო 120 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიშია. შედგენილია ზვავსაშიშროების რუკა, სადაც წარმოდგენილია როგორც ზვავსაშიში, ისე პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები.

ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებისათვის გამოვთვალეთ 603 ზვავის მორფომეტრიული (გავრცელების საზღვრები, დასაწყისისა და დასასრულის სიმაღლე, სიგრძე, ზვავის კერის ფართობი და ზედაპირის დახრილობა) და დინამიკური (სიჩქარე, დარტყმის ძალა, სიმაღლე, კონუსის მოცულიბა) მახასიათებლები. ცალკეული ზვავსაშიში რაიონი დეტალურადაა განხილული.

განსახორციელებელი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია ზვავების ჩამოსვლის დოროული პროგნოზირება, ზვავსაწინააღმდეგო სამეთვალყურეო სამსახურის შექმნა და მოსახლეობისათვის საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილების შერჩევა, ასევე ზვავებისაგან დაცვის კომპლექსური სისტემების გამოყენება, ნაკრძალი ტერიტორიების გაზრდა და ტყის ჭრის აკრძალვა, გარდა სანიტარული ჭრისა. ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვება და ზვავებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, საავტომობილო გზებისა და სხვადასხვა კომუნიკაციების დაცვის მიზნით, შესაძლებელია დაუსახლებელ ადგილებში.

Recommendations on anti-avalanche measures based on identified avalanche hazard settlements and determination of avalanche characteristic

Report Summary

All activities envisaged by the program are implemented.

Report reveals more than 600 avalanches that constitute a threat to settlements, through calculations of morphometric and dynamic parameters of avalanche collectors.

Based on analysis of literature sources, materials of archives (from 1846 till now) and multi-expeditionary studies 343 avalanche hazard settlements were determined, out of them in settlements casualties and destructions, in 82 destructions, in 63 casualties took place in different years, and 120 settlements are potentially avalanche hazard. Special map was designed and avalanche hazard or potentially avalanche hazards settlements were indicated.

For elaboration of anti-avalanche measures morphometric (scope of dissemination, altitudes of starting and ending points, lengths, area of avalanche center and declination of surface) and dynamic (speed, hit force, altitude, volume of the cone) characteristics of 603 avalanches were calculated. Separate high-risk regions are discussed in detail.

Anti-avalanche measures to be implemented includes timely and proper forecasting of avalanche arrivals, formation of special monitoring body and identification of safe places for housing, application of complex protection systems, enlargement of reserve territories and limiting to a maximum extend forest cutting (except sanitary wood cutting). For ensuring security of roads and communication infrastructure there is a need of modern protective methods in uninhabited areas.

Разработка рекомендаций противолавинных мероприятий на основе выявления лавиноопасных населенных пунктов и установления лавиноопасных показателей

Резюме отчета

В отчете в результате расчётов морфометрических и динамических показателей лавиносборов выявлено более 600 лавин, которые угрожают населенным пунктам.

На основе анализа литературных источников, материалов архивных данных и многолетних экспедиционных исследований (материалы с 1846 г) установлено 343 лавиноопасных населенных пунктов в Грузии, из которых в 78 в разные годы наблюдались человеческие жертвы и разрушения, в 82-х разрушения, в 63-х ущерб, а 120 населенных пунктов являются потенциально лавиноопасными. Составлена карта лавиноопасности, где представлены как лавиноопасные, так и потенциально лавиноопасные населённые пункты.

Для разработки противолавинных мероприятий для 603 лавин вычислены морфометрические (границы распространения, высота начала и конца, длина, площадь лавинного очага и уклон поверхности) и динамические (скорость, сила удара, высота, объем конуса) показатели. Отдельные лавиноопасные районы рассмотрены детально.

Из осуществляемых противолавинных мероприятий значительными являются своевременный прогноз схода лавин, создание противолавинной службы надзора и подбор безопасных мест для проживания населения, а также применение комплексных систем защиты от лавин, увеличение заповедных территорий и запрещение рубки леса, кроме санитарной рубки., Профилактический спуск лавин и применение современных методов защиты от лавин, с целью защиты автомобильных дорог и других коммуникаций, допустимы только в незаселённых местах.

შემსრულებელთა სია

პასუხისმგებელი შემსრულებელი
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

გ. სალუქაძე

შემსრულებლები:
მეცნიერ თანამშრომელი

ნ. კობახიძე

მეცნიერ თანამშრომელი

გ. ჯინჭარაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

1.	ზავაგსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენა.	5
1.1.	ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების გამოვლენის, ზვაგშემკრებების მორფომეტრი- ული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენის მეთოდები	7
1.2.	ცხრილი 1.2. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში.	14
2.	ზვაგშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები.	21
2.1.	ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები და ობიექტები	26
3.	ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები	29
3.1.	ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები, პრობლემები და საკითხის გადაწყვეტის გზები.	33
3.2.	ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობები	35
3.3.	ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება	39
3.4.	ზვავების წინააღმდეგ არტილერიის გამოყენება	40
3.5.	თოვლის ზვავებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდები	40
3.6.	ზვავსაწინააღმდეგო რაკეტები	43
4.	საქართველოს ზვავსაშიში რაიონები	44
4.1.	მდ. ბზიფისა და კოდორის აუზის ზვავსაშიშროება	45
4.2.	მდ. ენგურის აუზის ზვავსაშიშროება	47
4.3.	მდ. რიონის აუზის ზვავსაშიშროება	50
4.4.	გურიის მთიანი ნაწილის და კურორტ ბაბაროს ზვავსაშიშროება.	52
4.5.	აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიშროება	54
4.6.	საქართველოს სამხედრო გზის ზვავსაშიშროება	59
4.7.	დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურისა და სოფლების გვიდაქეს, მაქართასა და როშკას ზვავსაშიშროება.	61
4.8.	შიდა ქართლის ზვავსაშიშროება	64
	დასკვნა	66
	ლიტერატურა	67
	დანართი. ცხრილი 2.1 დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვაგშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები	70-86

1. ზგავსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენა

თემის პროგრამით გათვალისწინებული იყო:

1. ზვაგსაშიში პუნქტების გამოვლენა (2012 წ.);
2. საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვაგების დინამიკური მახასიათებლების დადგენა (2013 წ.);
3. დასახლებული პუნქტების ზვაგებისაგან დაცვის ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება და საბოლოო ანგარიშია შედგენა (2014 წ.).

თემის “ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენის და ზვაგსაშიშ-როების მახასიათებლების დადგენის საფუძველზე ზვაგსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება” პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნა შესრულებულია, კერძოდ:

საველე კვლევების დროს, რომელიც 40 წლიან პერიოდს მოიცავს, მოპოვებული მასალების, ზვაგების ჩამოსვლის ადგილისა და დროის, ასევე მათი ჩამოსვლით გამოწვეული შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ და საარქივო წყაროებში არსებული მონაცემების, მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა ზვავშემკრებების ადგილმდებარეობის დადგენა. ამ მონაცემების შეჯერებამ ზვაგსაშიშროების მორფომეტრიულ და გეობორგანიკურ ნიშნებთან საშუალება მოგვცა დაგვედგინა ზვავშემკრებების საზღვრები.

ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების გამოვლენაში, რომელთა რიცხვი 2500 - ზე მეტია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გარდა ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალებისა, იყო ცალკეული პუნქტები, ასევე “კავკასიის კალენდარი”, რომელიც მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისში იძექდებოდა და სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად განიხილავდა სტიქიურ მოვლენებს, მათ შორის თოვლის ზვავებს, მათი ჩამოსვლის შედეგს, მოსახლეობისათვის მიუენებულ მატერიალურ ზარალს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში კატასტროფული ზვაგების მასიური ჩამოსვლით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით ინსტიტუტის თანამ-შრომლების მიერ შედგენილი იყო “ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სახალხო-სამეურნეო ობიექტები”-ს ჩამონათვალი, რომელიც 185 პუნქტს მოიცავდა. შემდგომა კვლევებმა, მოპოვებულმა მასალებმა სრულიად შეცვალა დასახელებული პუნქტების რაოდენობა და დღეის მდგომარეობით, მათი რიცხვი 343-ია. გაიზარდა როგორც ზვაგსაშიში, ისე პოტენციურად ზვაგსაშიში პუნქტების რაოდენობა, რაც ამ ანგარიშის მე-2 თავში დეტალურად იქნება წარმოდგენილი.

დეტალურადაა დახასიათებული 600-ზე მეტი ზვავშემკრების მორფომეტრიული და ზვავის დინამიკური მახასიათებლები რაც დანართში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი.

წარმოდგენილია ზვაგსაწინააღმდეგო ღონისძიებები და ზვაგებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდები, რომელთა გამოყენებაა შესაძლებელი.


განხილულია საქართველოს ზვაგსაშიში რაიონები, კერძოდ მდინარეების: ბზიფის, კოდორის, ენგურის, რიონის აუზების ზვაგსაშიშროება. ჩოხატაურისა და ბახმაროს საავტომობილო გზის და თავად კურორტ ბახმაროს, აჭარის, საქართველოს სამხედრო გზის (დარიალის ხეობის), დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურისა და სოფლების გვიდაქეს, მაქართასა და როშკას, ასევე ქვემო ქართლის ზვაგსაშიშროება. ამ ტერიტორიებზე არსებული ზვაგების დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით წარმოდგენილია განსახორციელებელი ზვაგსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

კატასტროფების მართვის სისტემების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 2011 წელს იაპონიაში ჩატარდა აღინიშნა, რომ კატასტროფების რისკის შემცირება უკელა დონეზე უნდა წყდებოდეს. უნდა შეიცვალოს ადრეული

გაფრთხილების სისტემა, შემცირდეს რისკ - ფაქტორები და გაძლიერდეს მზადყოფნა კატასტროფებისადმი. თოვლის ზვავი ბუნების ერთ-ერთ იმ სტიქიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც თან სდევს ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი, ამდენად აქტუალურია ის მონაცემები თოვლის ზვავების შესახებ, რომლებიც მრავალწლიური დაკვირვებითა და კვლევებითაა მოპოვებული [7].

საქართველოს მთიანი რაიონების მოსახლეობა უძველესი დროიდან იცნობდა თოვლის ზვავების ვერაგ ბუნებას და შეძლებისდაგვარად თავს არიდებდა ზვაგსაშიშ ზონაში ცხოვრებასა და საქმიანობას, მათი საცხოვრებელი სახლები არაზვაგსაშიშ, ქედების ციცაბო, თხემურ ნაწილში ან ქედების ძირშია განლაგებული და არა უფრო ხელსაყრელ, მაგრამ ზვაგსაშიშ ფერდობებსა და მდინარეთა ტერასებზე.

საქართველოს ტერიტორიის 56%-ის ცალკეული ფერდობები ზვაგსაშიშია, ამასთან ტერიტორიის 20%-ზე ზვავები ყოველწლიურად აღინიშნება და ეს სისტემატური ზვავებია. დანარჩენ 36%-ზე ტერიტორიისა ზვავები იშვიათად - რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ან ათეულ წელიწადში ერთხელ ჩამოდის, მათ სპორადული ზვავები ეწოდებათ და კატასტროფულ შედეგებს იწვევს (ნახ.1), [7,16].



ნახ. 1. კატასტროფული და სისტემატური ზვავების გავრცელების რუკა

ყოველწლიურად ჩამოსული სისტემატური ზვავები ნაკლებად საშიშია, რადგან მათი ჩამოსვლის ადგილი კარგად არის ცნობილი ჩამოსვლის ხშირი განმეორადობის გამო. ცალკეულ ზვავს შესაბამისი სახელიც გააჩნია. მაგალითად, საქართველოს სამხედრო გზაზე გეხვდება ზვავი - „ბოდო“, „ეშმაკუნების ხევი“, „მაიორშა“, „კულაგინსკაია“, „სალდატსკაია“ და სხვა; „ზვავისღელე“ - კურორტ ლებარდესთან (მდ. ტეხურას აუზი), „აჩიშხე“ - მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობაში, „სასადილოს ზვავი“ - მდ. რიონის აუზში, „მანჩხავ“ - მდ. ენგურის აუზში, „ნაშვავი ანუ ნაზვავი“ მდ. აჭარისწყლის აუზში და სხვა [1].

მთიანი რეგიონების ზვაგსაშიშროება დამოკიდებულია ბუნებრივი კომპონენტების, ძირითადად, რელიეფის, კლიმატის და მცენარეული საფარის თავისებურებაზე. მხოლოდ ამ ელემენტების მთელი კომპლექსის ანალიზი იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების

თავისებურებები და შევაფასოთ მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების ხარისხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზვავწარმომქმნელი ფაქტორებია: ფერდობების დახრილობა, ადგილის სიმაღლე (რელიეფი), ტყე (მცენარეული საფარი) და თოვლის საფარი.

რელიეფი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ზვავწარმომქმნელ ფაქტორს. მის ძირითად ელემენტზე – ფერდობის დახრილობაზე დამოკიდებული ზვავის ჩამოსვლის შესაძლებლობა, თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლე, ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელებისა და ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები. მიღებულია, რომ ზვავი 15^0 და მეტი დახრილობის ფერდობზე შეიძლება ჩამოვიდეს. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან, რელიეფის დანაწევრებასთან, თოვლიანობის ზრდისა და ტყით დაფარული ფერდობების შემცირების გამო, ზვავსაშიშროება მატულობს.

საქართველოს ტერიტორიის ფერდობების დახრილობა და ტერიტორიის პიფსომეტრია ასეთია: ტერიტორიის 43%-თვის დამახასიათებელია ზედაპირის 15^0 -მდე დახრილობა, 31%-თვის - $15-25^0$, 21%-თვის - $25-35^0$, ხოლო 5%-თვის - 35^0 -ზე მეტი დახრილობა; 200 მ-ზე დაბლა მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის 11%, 200-დან 1000 მ-მდე განთავსებულია - 35%, 1000 მ-დან 2000 მ-მდე - 35%, 2000 მ-დან 3000 მ-მდე - 17%, ხოლო 3000 მ-ზე მაღლა - 2%.

საქართველოს ტერიტორიის 40%-მდე ტყით არის დაფარული. განსაკუთრებით დიდი ფართობი (70%) ტყებს საშუალომთიან ზონაში უკავია. ტერიტორიის 16% ფოთლოვანი, 15% - შერეული ხოლო 7% წიწვოვანი ტყით არის დაფარული. ტყე შენარჩუნებულია ციცაბო, ძნელად მისაწვდომ ფერდობებზე, ხოლო დამრეც და ადგილად მისაწვდომ ფერდობებზე ტყე თითქმის არ არსებობს.

მეტეოსადგურების მრავალწლიანი დაკვირვების (60 წელი) საფუძველზე, აგრეთვე, თეორიული გამოთვლებით მიღებული მონაცემების საფუძველზე თოვლიანობის მიხედვით გამოვყავთ მცირეთოვლიანი, საშუალოთოვლიანი, უხვთოვლიანი და განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონი.

მცირეთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე მერყეობს $30-50$ სმ-დან $140-160$ სმ-მდე, საშუალო სიმაღლე - $10-20$ სმ-დან $30-50$ სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე - 0 -დან $5-15$ სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის მაქსიმალური ნამატი აღწევს $80-100$ სმ-ს, ხოლო დღედამური ნამატი - $50-70$ სმ-ს; საშუალოთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად $0-100$ სმ-დან $450-500$ სმ-მდე, საშუალო სიმაღლე - $20-30$ სმ-დან $120-150$ სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე - $0-10$ სმ-დან. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის ნამატი აღწევს $150-200$ სმ-ს, დღედამური ნამატი კი - $100-120$ სმ-ს; უხვთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე $0-10$ სმ-დან $130-150$ სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის ნამატი აღწევს $150-210$ სმ-ს, დღედამური ნამატი კი - $100-200$ სმ-ს; განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება - $100-120$ სმ-დან $700-750$ სმ-მდე, საშუალო სიმაღლე - $30-60$ სმ-დან $450-500$ სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე - $0-5$ სმ-დან $200-250$ სმ-მდე. თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი (ერთი თოვისას) აღწევს $250-300$ სმ-ს, დღედამური ნამატი - $150-170$ სმ-ს.

1.1. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების

გამოვლენის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენის მეთოდები

ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების გამოვლენა შეუძლებელია ზვავშემკრებების მორფომეტრიული (ზვავშემკრებების სიგრძე, დასაწყისისა და დასასრულის აბსოლუტური სიმაღლე, ცალკეული მონაკვეთების აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, სიგრძე, დახრის კუთხე, ზვავის კერის ფარდობი) და ზვავის დინამიკური მახასიათებლების (ზვავის სიჩქარე, დარტყმის ძალა, მოძრავი ზვავის სიმაღლე, კონუსის მოცულობა) გარეშე.

ზვავშემკრების საზღვრების დადგენით ხდება ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების გამოვლენა. თუ ზვავმა ნგრევა გამოიწვია დასახლებულ პუნქტში ან ტყე გაანადგურა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პუნქტისა და ტყის მიდამოები ზვავსაშიშია, ე.ო. ზვავშემკრებს, ან ზვავის გავრცელების არეს წარმოადგენს. ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენით ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და ობიექტების გამოვლენა ხდება. მათი გამოვლენის ძირითადი საშუალება საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები და ამ მონაცემების დამუშავების საფუძველზე ჩატარებული თეორიული გამოთვლებია.

მოსახლეობისათვის უფრო საშიში სპორადული ზვავებია, რომლებიც რამდენიმე წელში ან რამდენიმე ათეულ წელში ერთხელ ჩამოდის. ასევე საშიშროებას წარმოადგენს ახალწარმოქმნილი ზვავის კერიდან ჩამოსული ზვავი, ხოლო ასეთი კერების წარმოქმნის ერთადერთი მიზეზი ტყის უმოწყალოდ ჩეხვა და ამ ბოლო წლებში გახშირებული ტყეში გაჩენილი ხანძრებია.

სპორადული ანუ იშვიათი განმეორადობის ზვავს წარმოადგენს მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობზე ჩამოსული ზვავი, რომელსაც § 4.5-ში დეტალურად განვიხილავთ.


ახლად წარმოქმნილი ზვავის კერებიდან ჩამოსული ზვავები დიდ მატერიალურ ზარალსა და ადამიანთა მსხვერპლს იწვევს. სწორედ ასეთმა ზვავებმა, 1976 და 1987 წლის იანვარში, ასეულობით მიღიონი დოლარის მატერიალური ზარალი და 89 ადამიანი იმსხვერპლა. ამ წლებში კატასტროფების მიზეზი ციცაბო ფერდობებზე ტყის მასიური ჭრა და უხვოვლიანობა იყო. თოვლის საფარის სიმაღლემ (სისქემ), ამ წლებში, მანამდე აღრიცხული თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის 150-250% შეადგინა [4].

ნგრევას და მსხვერპლს, ზოგჯერ, სისტემატური ზვავების ჩამოსვლაც იწვევს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ზვავწარმომქმნელი ფაქტორების ექსტრემალურობის გამო ჩამოსული ზვავები სისტემატური ზვავების გავრცელების საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1987 წლის იანვარში ზემო სვანეთის სოფ. ჟამუშში ჩამოსული ზვავი (§ 4.2). ასეთმა მაგალითებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია დასახლებული პუნქტებისა და სხვა ობიექტების გამოვლენა, ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრებისა და სხვადასხვა მორფომეტრიული მახასიათებლების, ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენა.

ამ კვლევის მიზანია მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კერძოდ კი ეფექტური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებისათვის აუცილებელია ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების და სხვა ობიექტების გამოვლენა, მოსახლეობისა და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენა. სწორედ ეს მახასიათებლები წარმოადგენს ზვავსაწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

ზვავის ჩამოსვლის შემდეგ ჩატარებული საველე კვლევის დროს, როცა სახეზეა ზვავის მიერ მიყენებული ზიანი და ზარალი, ხდება კონკრეტულად ამ ზვავის მსვილმასშტაბიანი კარტოგრაფირება ან გეოდეზიური აგეგმვა და მიყენებული ზარალის აღწერა. ზვავშემქრებების მორფომეტრიული მახასიათებლების დასადგენად უფრო ხელსაყრელია თოვლის საფარის დონბის შემდეგ ვაწარმოოთ საველე სამუშაოები, რადგან ამ დროს ადვილია ზვავშემქრების საზღვრის დადგენა გეომორფოლოგიური და გეობოტანიკური ნიშნებით, აუცილებელია მოსახლეობის გამოკითხვა, მიღებული შედეგების მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფირება. ჩატარებული გეოდეზიური სამუშაოები ზვავშემქრების მორფომეტრიული მახასიათებლების დადგენის საშუალებას იძლევა.

ზვავშემქრებების საზღვრების გამოვლენაში გეომორფოლოგიურ და გეობოტანიკურ ნიშნებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაღალმთიან ზონაში ზვავშემქრებებად, ძირითადად, მყინვარული და ნივალურ-ეროზიული, საშუალო-მთიან ზონაში - ნივალურ-ეროზიული და ეროზიული, ხოლო დაბალმთიან ზონაში - ეროზიული გენეზისის რელიეფის უარყოფითი ფორმები გვევლინება. ზვავის კურებს წარმოადგენს ცირკები, კარები, დენუდაციური ძაბრები, ეროზიული ჭრილები და რელიეფის უარყოფითი ფორმები. დარტაფების, ხევების და რელიეფის სხვა უარყოფითი ფორმების მიღამოებში მცენარეული საფარისაგან გაშიშვლებული მონაკვეთების არსებობა ზვავსაშიშროებაზე მიუთითებს. ზემოთ ჩამოვლილი უარყოფითი ფორმები ზვავსადენს ანუ ზვავის კალაპოტს წარმოადგენს. ფერდობების ძირიდან შედარებით მოშორებულ ტერიტორიაზე, იქ, სადაც არ ხდება ნაშალი მასალის გადაადგილება, დაუხარისხებელი და დაუმუშავებული ნაშალი მასალის მცირე სიმაღლის პარალელური სერებისა და ცალკეული ბორცვების არსებობა მიუთითებს ზვავსაშიშროებაზე. ეს ნაშალი მასალა ზვავის მიერ არის გამოწვეული და ეს ტერიტორია ზვავის გამოზიდვის კონუსს წარმოადგენს, ზვავის კონუსის მოცულობა ხშირად ათეულ ათას მ³-ს წარმოადგენს (სურ.1.1.1).



სურ.1.1.1. საქართველოს სამხედრო გზაზე გამოსული ზვავის კონუსი

ტყის გავრცელების ბუნებრივ საზღვრებში, ზვავსაშიში ტერიტორიების დასადგენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა გეობოტანიკურ ნიშნებს ენიჭება. ციცაბო (15° -ზე მეტი დახრილობის მქონე) ფერდობებზე მდებარე უტყეო

ტერიტორიების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ზვავის კერას; დარტაფების, ხევების და მცირე ხეობის გასწვრივ უტყეო ან ბუჩქით დაფარული ტერიტორიების არსებობა ადასტურებს, რომ რელიეფის ამ უარყოფითი ფორმების უმეტესობა წარმოადგენს ზვავსადენს. აქ ტყის საფარი ზვავების მიერ არის განადგურებული. ზვავები არა მარტო ტყებს ანადგურებს, არამედ ცვლის მის შემადგენლობასაც. ზვავებით, უმეტესად წიწვოვანი ჯიშები ნადგურდება, ხოლო ფოთლოვანი ჯიშები – შედარებით გამდლეა. წიწვოვანი და შერეული ტყის არსებობა მიუთითებს ტერიტორიის არაზვავსაშიშროებაზე. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ასეთ ტყებში ფოთლოვანი ჯიშებისაგან შემდგარი, ან ირგვლივ მდებარე ტყეზე უფრო ასალგაზრდა ტყის არსებობა მიუთითებს ამ ადგილების ზვავსაშიშროებაზე. ზვავების მიერ განადგურებული ტყე მიუთითებს არა მარტო ტერიტორიის ზვავსაშიშროებაზე, არამედ ზვავების განმეორადობაზე, რადგან წაქცეული ხეების (განსაკუთრებით წიწვოვანი ჯიშების) ხნოვანობის განსაზღვრით შესაძლებელია ზვავის ჩამოსვლის დროის დადგენა.

ზვავებს მაღალი ზონიდან დაბალ ზონაში გადააქვს მცენარეების თესლი, რაც სისტემატური ზონებისათვის დამახასიათებელი მცენარეების გავრცელებას უწყობს ხელს. დაბალ ზონაში უფრო მაღალი ზონისათვის დამახასიათებელი, აგრეთვე ვეგეტაციის მცირე პერიოდის მცენარეების გავრცელება ტერიტორიის ზვავსაშიშროებაზე მიუთითებს.

საველე სამუშაოების დროს, ზვავსაშიშროების გეომორფოლოგიური და გეობორგანიკური ნიშნების საშუალებით, ზვავშემკრებების (ზვავსაშიში ტერიტორიის) გამოვლენა, მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფიება ან გეოდეზიური აგეგმვა ხდება, რაც აგრეთვე აუცილებელია ზვავშემკრებების მორფომეტრიული მახასიათებლების დასადგენად. ზვავშემკრებების მორფომეტრიული მახასიათებლების დადგენა თავისთვად ზვავების დინამიკური მაჩვენებლების გაანგარიშების აუცილებელი პირობაა.

საველე კვლევების დროს მოპოვებული მასალების, ზვავების ჩამოსვლის ადგილისა და დროის, აგრეთვე მათი ჩამოსვლით გამოწვეული შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ და საარქივო წყაროებში არსებული მონაცემების, მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის საშუალებით ზვავშემკრებების ადგილმდებარეობის გამოვლენა ხდება. დასახელებული მონაცემებისა და ინფორმაციის შეჯერება ზვავსაშიშროების გეომორფოლოგიურ და გეობორგანიკურ ნიშნებთან კი ზვავშემკრებების საზღვრებისა და მორფომეტრიული მახასიათებლების დადგენის საშუალებას იძლევა.

ზვავების კვლევების დროს მეტად მნიშვნელოვანია საველე-საძიებო სამუშაოების მასალების ანალიზი. ზემოთ წარმოდგენილი თემის “ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების გამოვლენის და ზვავსაშიშროების მახასიათებლების დადგენის საფუძველზე ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება” შესრულება ეფუძნება პიდრომეტროლოგიურ ინსტიტუტში, 40-ზე მეტი წლის განმავლობაში, ჩატარებული ექსპერიციების დროს მოპოვებულ მასალებს. ექსპერიციების დროს ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების შესახებ უნიკალური ცნობები იქნა მოპოვებული. სპეციალური ექსპერიციები ეწყობოდა არა მარტო სამუცნიერო-კვლევითი თემების პროგრამით გათვალისწინებული საველე-საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად, არამედ სხვადასხვა დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოებისა და სახელშეკრულებო თემებისათვის. მოპოვებული საველე საძიებო მასალების საფუძველზე ხდებოდა მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების შეფასება და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება მოქმედი და დასაპროექტებელი საავტომობილო გზების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, კურორტებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიისა და დაღესტნის ოვლის კადასტრის შედგენისას (გამოიცა 1984, 1986 და 1989 წწ.).

მრავალწლიანი საველე კვლევები, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა არა მარტო საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაფლების ტერიტორიების ზვავსაშიშროება [17-19].

დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების გამოვლენაში, ზვავშემკრებების მორფომეტრიული მახასიათებლებისა და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1971, 1976 და 1987 წლებში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შედეგად ჩატარებული ექსპედიციების დროს მოპოვებულ საველე მასალებს. ამ წლებში ქვეყნის მოსახლეობისა და ეკონომიკისათვის საშიში თითქმის ყველა ზვავშემკრებიდან ჩამოვიდა ზვავი, რომელთაც მიაღწიეს რა თავიანთი გავრცელების მაქსიმალურ საზღვრებს, დიდი მატერიალური ზარალი და ნგრევა მიაყენეს თითქმის ყველა ზვავსაშიშ დასახლებულ პუნქტსა და სხვადასხვა ობიექტს.

ზვავსაშიშ დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების დადგენაში ასევე მნიშვნელოვანი იყო კაგკასის კალენდარი [21], რომელიც ყოველწლიურად გამოდიოდა ქ. თბილისში მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. მასში იბეჭდებოდა ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების ჩამოსვლისა და მათ მიერ მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის შესახებ.

საარქივო მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოს პიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში არსებული მონაცემებია. სწორედ აქ იყო თავმოყრილი საქართველოს ტერიტორიაზე 1995 წლამდე არსებული მრავალრიცხოვანი მეტეოროლოგიური სადგურებისა და სპეციალური ექსპედიციების დროს მოპოვებული მრავალწლიანი მასალები ზვავების ჩამოსვლის დროის, ადგილისა და მიყენებული ზარალის შესახებ. მასალის შესაგებად გამოვიყენეთ სხვადასხვა წლების გაზეთის პუბლიკაციები, სადაც აღწერილი იყო ზვავის ჩამოსვლის დრო, ადგილი, ზვავის ჩამოსვლის შედეგი.

ზვავშემკრებების ცალკეული მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დასაზუსტებლად ან გამოსათვლელად აუცილებელია თეორიული მეთოდებისა და გამოთვლების გამოყენება. ზვავის მიერ გამოწვეული ნგრევისა და მსხვერპლის უმეტესი ნაწილი ზვავის გამოზიდვის კონუსის ტერიტორიაზე ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ზვავის გავრცელების ქვედა საზღვრის დადგენა. ზოგჯერ ამ სიდიდის დასადგენად საკმარისი არ არის საველე მასალების, გამოქვეყნებული წყაროების, საარქივო მონაცემების და ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მდ. ნენსკრას (ჭუბრულას, ენგურის აუზი) მარცხენა ფერდობზე მდებარე ზვავის გამოზიდვის კონუსი. 1976 წლამდე, ზვავის მიერ განადგურებული შერეული ტყის ზედა საზღვარი ანუ ზვავის გავრცელების ქვედა საზღვარი, ზღვის დონიდან 1450 მ-ზე მდებარეობდა. 1976 წელს ჩამოსულმა ზვავმა გაანადგურა ტყის გარკვეული ნაწილი და მისმა ქვედა საზღვარმა დაიწია 1410 მ-მდე, ხოლო 1987 წლის იანვარში ჩამოსულმა ზვავმა ტყის ნაწილი ისევ გაანადგურა და ზღვის დონიდან 1365 მ-ს მიაღწია.

1976 წელს ზვავს ტყე არ გაუნადგურებია, რადგან ტყე აქ წინა წლებში ჩამოსული ზვავების ჩამოსვლის შედეგად იყო გაანადგურებული და ამიტომ ტყე 1410 მ-მდე გაჩანაგდა, 1987 წელს იგივე გამეორდა და საზღვარმა 1365 მ-ს მიაღწია. ასეთ და ამის მსგავს შემთხვევებში მხოლოდ ზვავსაშიშროების გეობორბანიკური ნიშნებით ზვავშემკრებების ქვედა საზღვრის დადგენას ვერ შევძლებთ.

ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების, მით უფრო საინჟინრო რეკომენდაციების შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელია ზვავის მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის დადგენა. ზოგიერთი ზვავის კერიდან ერთ ზამთარში რამოდენიმეჯერ ჩამოდის ზვავი და მათი მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის დასადგენად მრავალწლიანი მონაცემებია საჭირო; ერთ

ზვაგშემკრებში ჩამოსული ზვავის დარტყმის ძალისა და სიჩქარის დასადგენად რამდენიმე ასეული ზვავის მონაცემებია გასაზომი მისი მოძრაობის გასწვრივ. ერთ ზვაგშემკრებში ასეთი გაზომვების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ზვავების ცალკეული მახასიათებლებისა და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დასაზუსტებლად და გამოსათვლელად აუცილებელია ორიული მეთოდების გამოყენება.

ზვავების მახასიათებლების გაანგარიშების მრავალი ფორმულის ანალიზის საფუძველზე შედგენილი იქნა სპეციალური მითოთება და ინსტრუქცია [20] ზვავის მახასიათებლების გაანგარიშების, ზვავსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია ის ფორმულები, რომლების გამოყენებულია ასეულობით ზვაგშემკრებში წარმოქმნილი ზვავის მახასიათებლების გაანგარიშების დროს.

ა) ზვავის მოძრაობის სიჩქარის განსასაზღვრავად გამოიყენება ფორმულები:

$$v = \sqrt{\frac{as}{2}}, \quad a = 9,8(\sin\alpha - f \cos\alpha), \quad (1.1)$$

$$v = \sqrt{\frac{a(s_o + s)}{2} + \left(\frac{s_o}{s_o + s} \right)^3 \left(v_{o^2} \cos^2 \Delta\alpha - \frac{as_o}{2} \right)}, \quad (1.2)$$

$$v = \sqrt{2gz}, \quad z = h - \frac{H-I}{L}, \quad (1.3)$$

- სადაც v - ზვავის სიჩქარეა გზის მოცემულ წერტილში, მ/წ; α - ფერდობის დახრის კუთხეა, გრადუსებში; s - ფერდობის სიგრძე, მ-ში; s_o - ზვავის გზის წინა მონაკვეთების სიგრძეთა ჯამი; v_o - ზვავის სიჩქარეა განვლილი გზის მონაკვეთის ბოლოს; $\Delta\alpha$ - წინა და მოცემული გზის მონაკვეთების დახრის კუთხეებს შორის სხვაობა, გრად; g - სიმძიმის ძალის აჩქარება, მ/წ²; H - ზვავის მოწყვეტისა და გაჩერების ადგილებს შორის სიმაღლითი სხვაობა, მ-ში; h - იგივე, ზვავის მოძრაობის გრძივი პროფილის იმ წერტილში, სადაც განისაზღვრება v -ს; L - ზვავის მოძრაობის გზის პორიზონტალური პროექციის სიგრძე, მოწყვეტის ადგილიდან, ზვავის გამოტანის წინა ნაპირამდე, მ.; 1 - იგივე იმ წერტილადმდე, სადაც განისაზღვრება v ზვ.

ბ) ზვავის დარტყმის ძალა უძრავ წინააღმდეგობაზე გამოითვლება ფორმულით:

$$p = \frac{\gamma_{zv} \sin^2 \beta}{g}, \quad (1.4)$$

სადაც: p - ზვავის ზემოქმედება წინააღმდეგობაზე, ტ/მ²;

γ_{zv} - 0,45 ტ/მ²;

β - კუთხე ზვავის მოძრაობის მიმართულებასა და ნაგებობის ზედაპირს შორის, გრად.

გ) ზვავის მოცულობას ითვლიან ფორმულით:

$$W=0,4F \cdot h, \quad (1.5)$$

სადაც: W -ზვავის მოცულობა, მ^3 ;

F -ზვავშემკრების ფართობი, მ^2 ;

h -ზვავშემკრებში თოვლის საფარის სიმაღლე, მ .

ზვავის სიჩქარის განსაზღვრისათვის აუცილებელია სხვადასხვა დახრილობის ფერდობისათვის $a = 9,8 (\sin \alpha - f \cos \alpha)$ კოეფიციენტის გამოთვლა. სამუშაოს გასამარტივებლად ეს კოეფიციენტი გამოვთვალეთ სხვადასხვა დახრილობის ფერდობისათვის (ცხრ.1.1.1). სხვადასხვა სიჩქარით მოძრავი ზვავისათვის (v) კი წინასწარ გამოვთვალეთ ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალა (p). (ცხრ.1.1.2). ამ ორი ცხრილის საშუალებით გამარტივდა რთული გამოთვლები, რომლებიც 1.1-1.5 ფორმულებშია წარმოდგენილი.

ცხრილი 1.1.1. a კოეფიციენტის ცვლილება ფერდობის დახრის გუთხის a (გრადუსი) მიხედვით

α	a	α	a	α	a	α	a	α	a
50	6,0	38	4,1	26	2,1	14	-0,006	2	2,1
49	5,8	37	3,9	25	1,9	13	-0,2	1	-2,2
48	5,6	36	3,8	24	1,8	12	-0,3	0	-2,4
47	5,5	35	3,6	23	1,6	11	-0,5	-1	-2,5
46	5,4	34	2,2	22	1,4	10	-0,7	-2	-2,7
45	5,2	33	3,2	21	1,3	0	-0,9	-3	-2,9
44	5,0	32	3,1	20	1,1	8	-1,1	-4	-3,1
43	4,9	31	2,9	19	0,8	7	-1,3	-5	-3,3
42	4,7	30	2,7	18	0,7	6	-1,5	-6	-3,4
41	4,6	29	2,5	17	0,5	5	-1,6	-7	-3,6
40	4,4	28	2,4	16	0,3	4	-1,8	-8	-3,8
39	4,3	27	2,2	15	0,2	3	-2,0	-9	-4,0

ცხრილი 1.1.2. ზვავის სიჩქარე და დარტყმის ძალა

v	p	v	p	v	p								
1	0,05	11	5,5	21	20,2	31	44,1	41	77,1	51	119,4	61	170,8
2	0,2	12	6,6	22	22,2	32	47,0	42	80,1	52	124,2	62	176,5
3	0,4	13	7,7	23	24,2	33	50,0	43	84,9	53	129,0	63	182,2
4	0,7	14	9,0	24	26,4	34	53,0	44	88,9	54	133,9	64	188,0
5	1,1	15	10,3	25	28,7	35	56,2	45	93,0	55	138,9	65	194,0
6	1,6	16	11,7	26	31,0	36	59,5	46	98,1	56	144,0	66	206,1
7	2,0	17	13,2	27	33,4	37	62,8	47	101,4	57	149,2	67	206,1
8	2,9	18	14,8	28	36,0	38	66,3	48	105,8	58	154,5	68	212,8
9	3,7	19	16,5	29	38,6	39	69,7	49	110,2	59	159,8	69	218,6
10	4,6	20	18,3	30	41,3	40	73,5	50	114,8	60	165,3	70	225,0

1.2. ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში

ექსპედიციების დროს მოპოვებულმა მონაცემებმა, მოსახლეობისაგან მიღებულმა ინფორმაციამ, გამოქვეყნებულმა და საარქივო მასალებმა, საშუალება მოგვა 343 ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტი და მოსახლეობისა და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში 2550 ზვაგშემკრები გამოგვევლინა. ცხრილში 1.2.1 წარმოდგენილია 343 დასახლებული პუნქტი, სადაც აღინიშნებოდა ნგრევა და მსხვერპლი, დაზიანება, და ასევე წარმოდგენილია პოტენციურად ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტები. [5-6].

ცხრილი 12.1. ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში

Nº	დასახლებული პუნქტი	რაიონი	მიუენებული ზარალი, მსხვერპლი ()
1	2	3	4
1	რიწა	გუდაუთა	დაზიანება, 1976 წ.
2	აგადჰარა	აგადჰარა	ნგრევა და მსხვერპლი (2), 1953 წ.
3	ჩხალთა	გულრიფში	ზვაგსაშიში
4	პტიში	—”	—”
5	ხეცქარა	—”	ნგრევა, 1976 წ.
6	ხუტია	—”	ნგრევა 1954 წ., 1965 წ. და 1976 წ.
7	გვანძრა	—”	ნგრევა, 1954 წ.
8	ობურდვანი	—”	ზვაგსაშიში
9	სგიმარი	—”	ნგრევა, 1976 წ.
10	გენწვიში	—”	ზვაგსაშიში
11	აქარა	—”	—”
12	მრამბა	—”	—”
13	შაბათკვარა	—”	—”
14	იდლიანი	მესტია	ნგრევა და მსხვერპლი, 1976 წ.(2), 1987 წ.(3)
15	სკორმეთი	—”	ნგრევა, 1987 წ.
16	ლუპი	—”	ზვაგსაშიში
17	ლახამი	—”	ნგრევა 1932 წ.მსხვერპლი (9) , 1976 წ, 1987წ. მსხვერპლი (1)
18	ლერწვერი	—”	ნგრევა 1932 წ., 1987 წ.,მსხვერპლი 1987წ. (7)
19	დევრა	—”	ნგრევა 1976 და 1987 წ.
20	ყარი	—”	დაზიანება 1976 და 1987 წ.
21	სგურიში	—”	დაზიანება 1987 წ.
22	ლარილარი	—”	ნგრევა 1976,1987 წ. მსხვერპლი 1976 წ.(2)
23	ზედა მარლი	—”	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (2)
24	ქვედა მარლი	—”	ნგრევა და მსხვერპლი 1976 (2) და 1987 წწ.(1)
25	ლეკელმახე	—”	დაზიანება, 1976 და 1987 წ.
26	ჭვერი	—”	ნგრევა და მსხვერპლი 1987 წ. (7)
27	ჯორკვალი	—”	ზვაგსაშიში
28	ყაზახი	—”	დაზიანება, 1987 წ.
29	დიზი	—”	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (12)
30	ნაკი	—”	ნგრევა და მსხვერპლი 1932 წ.(3), 1946 წ.(2) ნგრევა 1976 და 1987 წწ.
31	ცალერი	—”	დაზიანება, 1987 წ.
32	დემდერი	—”	დაზიანება 1976 და 1987 წწ.
33	ხოსრარი	—”	—”
34	ზედა ლუპა	—”	დაზიანება 1976 წ.
35	კაცხი	—”	ზვაგსაშიში

1	2	3	4
36	ჭელირი	—”-	—”-
37	დოლასვიფი	—”-	დაზიანება 1987 წ.
38	ტექბიში	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1946 წ.(3), 1965 წ.(10)
39	მაზერი	—”-	ზვავსაშიში
40	უშხვანარი	—”-	ნგრევა 1958 წ. და დაზიანება 1987 წ.
41	იფხი	—”-	დაზიანება 1987 წ.
42	ლემსია	—”-	დაზიანება, 1987 წ.
43	ლეხთაგი	—”-	ზვავსაშიში
44	ლანჩვალი	—”-	—”-
45	ლაღამი	—”-	—”-
46	ზარდლაში	—”-	—”-
47	ლევებრა	მესტია	—”-
48	მურშეელი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1875 წ. (60)
49	არცხელი	—”-	ზვავსაშიში
50	უამუში	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1987წ. (26)
51	ლახირი	—”-	ზვავსაშიში
52	ჭოლაში	—”-	დაზიანება 1956 და 1976 წწ.
53	ჟაბეში	—”-	ზვავსაშიში
54	იელი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1875 წ. (9)
55	ჰადიში	—”-	ნგრევა 1976 წ.
56	ვიჩნაში	—”-	ზვავსაშიში
57	ხე	—”-	—”-
58	იფრარი	—”-	—”-
59	ხალდე	—”-	დაზიანება 1976 წ.
60	მურემელი	—”-	ნგრევა 1964 წ. მსხვერპლი 1987 წ. (7)
61	ჩაჟაში	—”-	ნგრევა 1976 წ.
62	ჟიბიანი	—”-	ნგრევა 1987 წ.
63	მაგარდელი	—”-	ზვავსაშიში
64	ლეზგარა	—”-	—”-
65	ტვიბერი	—”-	—”-
66	სვიფი	—”-	ნგრევა 1987 წ.
67	ღვებალდი	—”-	მსხვერპლი 1932 წ.(2), ნგრევა 1932,1983 და 1987 წწ.
68	გვალდერი	—”-	ზვავსაშიში
69	გუნწიში	—”-	—”-
70	ქვედა წირმინდი	—”-	—”-
71	ქვედა ვედი	—”-	ნგრევა 1987 წ.
72	ზედა კედი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1987წ. (8)
73	ხაიში	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1987 წ. (1)
74	შვედი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (1)
75	ლებარდე	მარტვილი	ნგრევა 1971 და 1976 წწ.
76	ნალომარი	ლენტეხი	ზვავსაშიში
77	რცხმელური	—”-	ნგრევა, 1976 წ.
78	ყველრეში	—”-	დაზიანება 1987 წ.
79	მაზაში	—”-	ზვავსაშიში
80	ცხმულდი	—”-	—”-
81	ბაგარი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1932 წ.(7), ნგრევა 1987 წ.
82	მანანაური	—”-	ნგრევა 1987 წ.
83	ხაჩეში	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1924 წ. (13), ნგრევა 1987 წ.
84	ხელედი	—”-	ნგრევა 1987 წ.
85	წანაში	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1924 წ.(5), 1987 წ.

1	2	3	4
86	ფაყი	—”—	ნგრევა 1987 წ.
87	ლესემა	—”—	დაზიანება 1987 წ.
88	ლენტეხი	—”—	მსხვერპლი 1959 წ.(2), 1976, 1987 წ.(3)
89	ღურაში	—”—	ნგრევა და მსპლი 1987 წ.(7)
90	ლასკადურა	—”—	ნგრევა 1987 წ.
91	კახურა	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1987 წ. (6)
92	მელურა	—”—	ნგრევა 1987 წ.
93	ბაბილი	—”—	ნგრევა 1987 წ.
94	შტვილი	—”—	დაზიანება 1987 წ.
95	ბულეში	—”—	დაზიანება 1987 წ.
96	მუწვდი	ლენტეხი	—”—
97	ტვიბი	—”—	—”—
98	მამი	—”—	ნგრევა 1987 წ.
99	ჩუკული	—”—	ნგრევა 1968 წ.
100	მასაში	—”—	დაზიანება 1976 და 2003 წწ.
101	ცანა	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1954, 1976(1), 1987 წ.
102	ყორულდაში	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1987 წ. (1)
103	ზესხო	—”—	ნგრევა 1976 და 1987 წ.
104	ღობი	—”—	ზვავსაშიში
105	სასაში	—”—	—”—
106	ლეუშერი	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1976 (2), 1987 წწ.
107	თეკალი	—”—	ნგრევა 1987წ.
108	ჭველიერი	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1987 წ.(1)
109	ნანარი	—”—	ზვავსაშიში
110	ხოფური	—”—	—”—
111	ლესინდი	ცაგერი	დაზიანება 1976 წ.
112	ლაჯანა	—”—	დაზიანება 1976 წ.
113	ურაგი	ამბროლაური	ნგრევა და მსხვერპლი 1932 წ.(7), 1976 წ.
114	ლეუხენი	—”—	ნგრევა 1976 წ.
115	გონა	ონი	ზვავსაშიში
116	ჭიორა	—”—	—”—
117	გლოლა	—”—	ნგრევა 1987 წ.
118	შოვი	—”—	—”—
119	არაშენდა	ჯაგა	ნგრევა და ნსხვერპლი 1932 წ. (112)
120	კვაისი	—”—	დაზიანება 1987 წ.
121	თედელეთი	—”—	ზვავსაშიშია
122	ზემო სურები	ჩოხატაური	ნგრევა 1958 წ.
123	ნაბედლავი	—”—	ნგრევა 1959 და 1971 წწ.
124	ქვაბდა	—”—	ნგრევა 1971 წ.
125	ზოტი	—”—	ნგრევა 1958 წ., ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ. (6)
126	ჩხაკოურა	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1959 წ.(1), ნგრევა 1964 და 1971 წწ.
127	ბახმარო	—”—	ნგრევა 1964, 1971, 1987 და 2001 წწ.
128	მესხიძედი	ქობულეთი	ნგრევა 1957 და 1985 წ.
129	ზემო ხინო	—”—	ნგრევა 1985 წ.
130	ზედა ბოსელი	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1957 წ. (3)
131	ჩაქვისთავი	—”—	ნგრევა 1957 და 1971 წ.
132	პირველი მაისი	ქედა	დაზიანება 1988 წ.
133	ქვედა აგარა	—”—	დაზიანება 1975 წ.
134	სიხალიძეები	—”—	ნგრევა 1975 წ.
135	გოგაძეები	—”—	ნგრევა 1975 წ.
136	წონიარისი	—”—	ნგრევა და მსხვერპლი 1988 წ. (1)

1	2	3	4
137	გეგელიძეები	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1989 წ. (3)
138	ბალაძეები	—”-	ზვავსაშიში
139	მოსიაშვილები	—”-	—”-
140	ტაკიძეები	შუახევი	ნგრევა და მსხვერპლი 1924 წ.(2), 1988
141	ცემლისი	—”-	დაზიანება 1971 წ.
142	ხადელაშვილები	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1989 წ. (1)
143	ინჯირეთი	—”-	დაზიანება 1975 წ.
144	განი	—”-	ნგრევა 1924 და 1971 წ., მსხვერპლი 1964 წ.(1)
145	ბარათაშვილი	შუახევი	ნგრევა და მსხვერპლი 1964 წ.(1), ნგრევა 1971 და 1975 წწ.
146	ჭალა	—”-	დაზიანება 1975 წ.
147	ნიგაზაული	—”-	ნგრევა 1971 და 1975 წ.
148	გომარდული	—”-	ნგრევა 1975 წ.
149	გაშლოვანი	ხელო	დაზიანება 1975 და 1988 წწ.
150	ქედლები	—”-	ნგრევა 1959 და 1988 წწ.
151	ხულო	—”-	დაზიანება 1984 წ.
152	უნხო	—”-	დაზიანება 1971 წ.
153	კურცხალი	—”-	ნგრევა 1959 და 1971 წწ.
154	გუდასახო	—”-	ზვავსაშიშია
155	დიაკონიძეები	—”-	დაზიანება 1988 წ.
156	დიდაჭარა	—”-	ნგრევა 1971 და 1988 წწ.
157	გორგაძეები	—”-	ზვავსაშიშია
158	ირემაძეები	—”-	ნგრევა 1975, 1987 და 1988 წწ.
159	ლაბაიძეები	—”-	ნგრევა 1975 წ.
160	ბოლაური	—”-	დაზიანება 1975 და 1988 წწ.
161	აგარა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ. (3)
162	ნამონასტრევი	—”-	ზვავსაშიშია
163	გელაძეები	—”-	ნგრევა 1975 წ. და დაზიანება 1988 წ.
164	პაქსაძეები	—”-	ზვავსაშიშია
165	კორტოხი	—”-	ნგრევა 1988 წ.
166	ბედლეთი	—”-	ნგრევა 1971, 1975 და 1988 წწ.
167	რიყეთი	—”-	ნგრევა 1971 წ. და დაზიანება 1988 წ.
168	დანისპარაული	—”-	დაზიანება 1975 წ.
169	შუასოფელი	—”-	ნგრევა 1971 და 1975 წწ.
170	ბოძაური	—”-	ნგრევა 1988 წ.
171	დიაკონისი	—”-	ნგრევა 1971 და 1988 წწ.
172	მანიაკეთი	—”-	დაზიანება 1971, 1975 და 1988 წწ.
173	დორჯომელიძეები	—”-	დაზიანება 1971 წ.
174	ლურტა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ.(22), ნგრევა 1983 და 1989 წწ.
175	იაკობიძეები	—”-	ნგრევა 1975 წ.
176	ელელიძეები	—”-	ნგრევა 1975, 1987 და 1988 წწ.
177	თაგო	—”-	ნგრევა 1971, 1975 და 1988 წწ.
178	ძმარულა	—”-	ნგრევა 1971წ., დაზიანება 1988 წ.
179	ჭერი	—”-	ნგრევა 1971 და 1989 წწ.
180	ფაჩხა	—”-	ნგრევა 1971 და 1988 წწ.
181	წაბლანა	—”-	ნგრევა 1971, 1975 და 2006 წწ.
182	კვატია		ნგრევა 1971 და 1975 წწ.
183	რაქეთა	—”-	დაზიანება 1971 და 1988 წწ., ნგრევა 1996 წ.
184	ბაკო	—”-	ნგრევა 1971 წ.
185	ახალშენი	—”-	ზვავსაშიშია
186	თხილვანა	—”-	ნგრევა 1971 და 1988 წწ.
187	სკვანა	—”-	ნგრევა 1975 წ.

1	2	3	4
188	ხიხაძირი	—”-	დაზიანება 1971 და 1975 წწ.
189	კალოთა	—”-	დაზიანება 1971 წ.
190	ვერნები	—”-	დაზიანება 1971 და 1988 წწ.
191	მახალაკაური	—”-	დაზიანება 1975 წ.
193	წიფნარი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ. (3)
194	სოლომანი	—”-	დაზიანება 1971 წ.
195	ყინჩაური	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1975 წ.(30) ნგრევა 1988წ.
196	მახალაკიძები	შეახევი	ნგრევა 1988 წ.
197	კობალთა	—”-	ზვავსაშიშია
198	დარჩიძეები	—”-	—”-
199	ტომაშეთი	—”-	—”-
200	შუბანი	—”-	—”-
201	ოლადაური	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ.(1), ნგრევა 1975 წ.
202	მაწყვალთა	—”-	ნგრევა 1971, 1975, 1988 და 2006 წწ.
203	ლომანაური	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1974 წ. (1)
204	დღვანი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1975 წ. (1)
205	ქიძინიძეები	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1971 წ.(4), 1975 წ. (2)
206	გოგინაური	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1975 წ. (2)
207	ჯაბანიძეები	—”-	ნგრევა 1988 წ.
208	ტბეთი	—”-	ნგრევა 1971 და 1975 წწ.
209	გოგაძეები	—”-	დაზიანება 1971 წ.
210	წაბლანა	—”-	დაზიანება 1971,1975, 1989 და 2006 წწ.
211	დანდალო	ქედა	დაზიანება 1971 წ.
212	ხარაულა	—”-	—”-
213	კოკოტაური	—”-	—”-
214	აბუქეთა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1989 წ.(5)
215	ცემორისი	—”-	დაზიანება 1971 და 1975 წწ.
216	მერისი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1997 წ., (1)
217	გუნდაური	—”-	დაზიანება 1971 წ.
218	ნამონასტრევი	—”-	—”-
219	ჭალათი	—”-	დაზიანება 1975 წ.
220	ჩიქუნეთი	ხელვაჩაური	დაზიანება 1985 წ.
221	ქოქოლეთი	—”-	ნგრევა 1985 წ.
222	სკურდიდი	—”-	—”-
223	დირგინა	ჯავა	ნგრევა და მსხვერპლი 1854 წ. (3)
224	ერწო	—”-	ზვავსაშიშია
225	ზემო მაჩხარა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1989 წ. (5)
226	სიხთა	—”-	ზვავსაშიშია
227	ყოლა	—”-	—”-
228	ქეშელთა	—”-	—”-
229	დოუდონასტო	—”-	ნგრევა 1854 წ.
230	მაირამი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1843 წ. (3)
231	ვანელი	—”-	დაზიანება 1976 წ.
232	წარითა	—”-	ნგრევა 1952 და 1976 წწ.
233	ლიწი	—”-	ზვავსაშიშია
234	წალა	—”-	—”-
235	ქვემო ჯომაღა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1852 წ. (1)
236	შუა როეა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1932 წ. (1) და დაზიანება 1976 წ.
237	ზღუბირი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1846 წ. (1)
238	ქვემო სბა	—”-	ზვავსაშიშია

1	2	3	4
239	შეა სბა (გინათა)	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1850 წ. (68), ნგრევა 1987 წ.
240	ჭელიათა	-"-	ზვავსაშიშია
241	ედისა	-"-	-"-
242	კაბუზთა	-"-	ნგრევა 1976
243	ზემო ერმანი	-"-	დაზიანება 1976 წ.
244	ბრითათა	-"-	ზვავსაშიშია
245	ინაური	-"-	ნგრევა 1987 წ.
246	გუდიდი	ცხინვალი	ნგრევა 1976 წ., მსხვერპლი 1987 წ. (1)
247	დისინგი	-"-	ნგრევა 1987 წ.
248	ისროლოსხევი	-"-	ზვავსაშიშია
249	არდისი	-"-	-"-
250	დვალიანთქარი	-"-	-"-
251	ხარული	-"-	-"-
252	ქოლოთი	ახალგორი	-"-
253	გელისა	-"-	-"-
254	ხოზუეთი	-"-	დაზიანება 1976 წ.
255	კარალეთქარი	-"-	ზვავსაშიშია
256	ნავიხევი	-"-	-"-
257	ჩიგოიანი	-"-	ნგრევა 1976 წ.
258	ყორა	-"-	ზვავსაშიშია
259	ლომისა	-"-	-"-
260	ელოიანი	-"-	დაზიანება
261	ბალაანი	-"-	ნგრევა 1975
262	ოხირი	-"-	მსხვერპლი 1846 წ. (7), ნგრევა 1964 წ.
263	ციხისსოფელი	-"-	ზვავსაშიშია
264	უკანამხარი	-"-	-"-
265	მუჯუხი	-"-	დაზიანება 1987 წ.
266	უკანაუბანი	-"-	ზვავსაშიშია
267	დასბაქნეთი	-"-	ნგრევა 1952 წ.
268	თოხთა	-"-	ზვავსაშიშია
269	ჭალისსოფელი	დუშეთი	-"-
270	სოდევი	-"-	-"-
271	უკანამხარი	-"-	-"-
272	წინამხარი	-"-	დაზიანება 1976, 1988 წწ.
273	ფახანაური	-"-	ნგრევა 1954, 1988, 1992 წწ. და მსხვერპლი 1988 წ. (2)
274	ჩადისციხე	-"-	დაზიანება 1976, 1987 და 1992 წწ.
275	არახეთი	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1854 წ. (6)
276	მლეთა	-"-	ნგრევა 1877
277	ერეთო	ყაზბეგი	ნგრევა და მსხვერპლი 1846 წ. (7)
278	ხატის ხოფელი	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1846 წ. (56)
279	წაერე	დუშეთი	დაზიანება 1965 წ., ნგრევა 1976 წ.
280	ლაკათხევი	-"-	ნგრევა 1976 წ.
281	გვიდაქე	-"-	ზვავსაშიშია
282	ჩირიკი	-"-	დაზიანება 1992 წ.
283	წინამხარე	-"-	ნგრევა 1976 წ.
284	მაქართა	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (6)
285	კიბოხი	-"-	ზვავსაშიშია
286	გამსი	-"-	-"-
287	დუმაცხო	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (3)
288	ბურსაჭირი	-"-	ნგრევა 1976 წ.
289	ჩოხი	-"-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (3)

1	2	3	4
290	ზანდუკი	—”-	ზვავსაშიშია
291	თოთიაურნი	—”-	ნგრევა 1976 წ.
292	სიჭანაანი	—”-	ნგრევა 1976 წ.
293	საჩალისჭალა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1954 წ.(1), ნგრევა 1976 წ.
294	თორელანი	—”-	ზვავსაშიშია
295	ლუთხუნი	—”-	—”-
296	ცხევდიეთი	—”-	—”-
297	ყორული	დუშეთი	ნგრევა და მსხვერპლი 1992 წ. (5)
298	ჯულისი	—”-	ზვავსაშიშია
299	დათვისი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (2)
300	კორშა	—”-	ზვავსაშიშია
301	როშქა	—”-	—”-
302	ზეისტერო	—”-	ნგრევა 1976 წ.
303	აქნელი	—”-	ზვავსაშიშია
304	გუდანი	—”-	—”-
305	ჭორმეშავი	—”-	—”-
306	ხაბძათი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1981 წ. (7), 1987 წ. (3)
307	ბისო	—”-	ზვავსაშიშია
308	გული	—”-	—”-
309	უძილაურთა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1976 წ. (1)
310	შუაფხო	—”-	ზვავსაშიშია
311	ზარისჭალა	—”-	—”-
312	მათურა	—”-	—”-
313	უკანაფშავი	—”-	—”-
314	თხილიანა	—”-	—”-
315	კვარა	თიანეთი	ნგრევა 1976 წ.
316	თორდვას აბანო	ახმეტა	ნგრევა 1964 წ.
317	ვაკისძირი	—”-	ზვავსაშიშია
318	დოჭუ	—”-	—”-
319	დართლო	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1968 წ, 1976 წ.(1), 2002 წ.
320	ხონისჭალა	დუშეთი	ზვავსაშიშია
321	ხახაბო	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1993 წ. (4)
322	მუცო	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1993 წ. (1)
323	კისტანი	—”-	ზვავსაშიშია
324	სნო	ყაზბეგი	—”-
325	ქოსელი	—”-	—”-
326	აარჯუჩა	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1921წ.(1),1939 წ. (2), 1954 წ.(5), 1956 წ.(1), 1976 წ., 1996 წ., 2007წ.
327	ჯუთა	—”-	ზვავსაშიშია
328	ახალციხე	—”-	—”-
329	არშა	—”-	ნგრევა 1987 წ.
330	აბანო	—”-	ზვავსაშიშია
331	ოქროყანა	—”-	—”-
332	ხურთისი	—”-	—”-
333	გაიბოტენი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1956 წ. (3)
334	ფანშეტი	—”-	ნგრევა და მსხვერპლი 1938 წ. (7),1987წ.
335	საფუძრები	თეთრიწყარო	ზვავსაშიშია
336	შეხვეტილა	—”-	—”-
337	სამოჭალა	კასპი	—”-
338	წითელწყარო	გორი	—”-
339	გაგლუათუბანი	—”-	—”-

1	2	3	4
340	აბუხალო	ქარელი	—”—
341	დიდი მიტარბი	ბორჯომი	—”—
342	ბაკურიანი	—”—	დაზიანება 1974 წ.
343	ტოლოში	ასპინძა	ზვავსაშიშია
344	კიკიბო	ადიგენი	—”—
345	დერცელი	—”—	—”—
342	აბასთუმანი	—”—	—”—
343	ლიქანი	ბორჯომი	—”—

2. ზვავშემპრეზების მორფოეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები

წლების განმავლობაში მოპოვებული საველე საძიებო მასალების საფუძველზე ხდებოდა მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების შეფასება და ზვავსაშინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება მოქმედი და დაპროექტებული საავტომობილი გზების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, კურორტებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის.

ზვავსაშინააღმდეგო ღონისძიებების (მით უფრო საინჟინრო) რეკომენდაციების შემუშავებისა და განხორციელებისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია ზვავის მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის დადგენა. ერთ ზვავშემკრებში ჩამოსული ზვავის დარტყმის ძალის დასადგენად რამოდენიმე ასეული ზვავის მონაცემია გასაზომი მისი მოძრაობის გასწვრივ. ზვავშემკრებში რამდენიმე ადგილას ზვავის დარტყმის ძალისა და სიჩქარის გასაზომი საინჟინრო ნაგებობის აგება და გამზომი ხელსაწყოების შეძენა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ზვავშემკრებში ასეთი გაზომვების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

თეორიული გამოთვლებისათვის აუცილებელი სამუშაო ფორმულები და მეთოდები წარმოდგენილია 1.1 პარაგრაფში, აქვე ჩვენს მიერ შედგენილი ცხრილებით (ცხრ.1.1.1-1.1.2) თავიდან ავიცილებოთ რთულ გამოთვლებს [5,6].

ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების დაცვა შედარებით მარტივია, რადგან ანძებისა და ბოძებისათვის არაზვავსაშიში ადგილის შერჩევა შედარებით ადვილია, ასევე ზვავსაშიშ ტერიტორიაზე განლაგებული ანძებისა და ბოძების გადატანა ძალიან დიდ დანახარჯს არ მოითხოვს. ასევე ზვავსაშიშ მაგისტრალზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა ზვავსაშიშროების პროგნოზით და ზვავსაშიში პერიოდის განმავლობაში მაგისტრალებზე მოძრაობის შეზღუდვით არის შესაძლებელი. რაც შეეხება დასახლებული პუნქტების დაცვას რა თქმა უნდა უფრო რთულია, რადგან პროგნოზის დროული გაცემით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი, მაგრამ თუ ნაგებობა ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს, მისი ნგრევის ალბათობა დიდია. სწორი და ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელია ზვავის დასაწყისისა და დასახულის აბსოლუტური სიმაღლის, ზვავის სიგრძის, ზვავის კერის ფართობის, ზედაპირის დახრილობის, ზვავის მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის, ზვავის კონუსის მოცულობისა და მოძრავი ზვავის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა. 600-ზე მეტი ზვავისათვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა მდინარის აუზსა თუ ხეობაში მდებარეობს გამოვთვალეთ ზემოთ აღნიშნული მონაცემები და ცხრილის სახით წარმოვადგინეთ თემის დამატებით

ნაწილში. 2550 ზვავშემკრებიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 3700 მ) იწყება მდინარე მულხურას ხეობაში მდებარე ზვავშემკრები, რომელიც სოფ. ლაპირს (მესტიის რაიონი) ემუქრება, ხოლო ყველაზე დაბალ სიმაღლეზე (450 მ) მდ. ჩაქვისთავის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებია, რომელმაც სოფ. ჩაქვისთავში 1957, 1971 და 1999 წლებში ნგრევა გამოიწვია.

დაბალმთიან ზონაში იწყება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 10% (603-დან 59) და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 15% (1947-დან 283); საშუალომთიან ზონაში - 59% და 37% (357 - 603-დან და 734 - 1947-დან), ხოლო მაღალმთიან ზონაში 31 და 48%.

ყველაზე დიდ სიმაღლეზე (2300-2350 მ-ზე) საქართველოს სამხედრო გზის ჯვრის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ზვავშემკრებები მთავრდება, ხოლო ყველაზე დაბალ სიმაღლეზე (50-100 მ) მდ. ბზიფისა და მდ. აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებები, რომლებიც ამ ხეობებში საავტომობილო მაგისტრალების დაბალმთიან ზონაში (100-150 მ-ზე დაბლა) მდებარე მონაკვეთებს ემუქრება.

ზვავშემკრებების განაწილება დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცხრილის სახითაა წარმოდგენილი (ცხრ. 2.1.1)

ცხრილი 2.1.1 ზვავშემკრებების განაწილება დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით

№	სიმაღლე, მ	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგვე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 1000	59	10	283	15	342	13
2	1001-1500	157	26	315	16	472	19
3	1501-2000	200	33	419	21	619	24
4	2001-2500	138	23	489	25	627	25
5	2501-3000	35	6	276	14	311	12
6	≥ 3000	14	2	165	9	179	7
ჯ ა მ ი		603	100	1947	100	2550	100

დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 10% დაბალმთიან ზონაში იწყება; ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოში, ხოლო უმეტესი ნაწილი (7%) - აჭარის ტერიტორიაზე მდებარეობს. დასავლეთ საქართველოში ზვავსაშიში ზონის ქვედა საზღვარი ზღვის დონიდან 40 - 400 მ-ზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 560 - 1200 მ-ზე გადის

დაბალმთიან ზონაში მთავრდება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 37% და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 34%; საშუალომთიან ზონაში - 60 და 54%, ხოლო მაღალმთიან ზონაში - 4 და 12% (ცხრ. 2.1.2).

დასახლებული პუნქტებისათვის საშიში იმ ზვავშემკრებების უმეტესი ნაწილი (99%), რომელიც მთავრდება დაბალმთიან ზონაში, დასავლეთ საქართველოში მდებარეობს.

ზვავშემკრებები ერთმანეთისაგან სიგრძითაც განსხვავდება. 1000 მ-მდე სიგრძით ხასიათდება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 43% და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 43%; 1000 -დან 2000 მ-მდე მეტი სიგრძით - 21% და 20% შესაბამისად (ცხრ. 2.1.3) [5].

ცხრილი 2.1.2. ზვავშემკრებების განაწილება დასასრულის სიმაღლის მიხედვით

№	სიმაღლე, მ	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 500	49	8	82	4	131	5
2	501-1000	174	29	582	30	756	30
3	1001-1500	229	38	432	22	661	26
4	1501-2000	130	22	613	32	743	29
5	≥ 2000	21	3	235	12	259	10

0,3 პუნქტობის ზვავის კერის ფართობით სასიათდება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 23 და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 32%; 10-დან 100 პა-მდე ფართობით - 9 და 10%, ხოლო 100 პა-მდე ფართობით 2 და 3% შესაბამისად. ზოგიერთი მდინარის აუზში მდებარე ზვავშემკრებების ზვავის კერის ფართობი 350 ჰა (მდ. ცხენისწყალი), 320 ჰა (მდ. მულხურა), 280 ჰა (მდ. ცხენისწყალი), 240 ჰა (მდ. ენგური) არის. დიდ ზვავშემკრებებში წარმოქმნილი ზვავები მესტის რაიონის სოფლებს ლახირს, სვიფს და ლენტების რაიონის სოფლებს ლეუშერს და თეკალს ემუქრება. (ცხრ.2.1.4) [5].

ცხრილი 2.1.3. ზვავშემკრებების განაწილება სიგრძის მიხედვით

№	სიგრძე, მ	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 500	33	6	220	11	253	10
2	501-1000	225	37	631	32	856	34
3	1001-1500	144	24	452	23	596	23
4	1501-2000	74	12	280	14	354	14
5	2001-2500	49	8	167	9	216	9
6	2501-3000	36	6	72	4	108	4
7	3001-4000	28	5	74	4	102	4
8	≥ 4000	14	2	61	3	65	2

ცხრილი 2.1.4. ზვავის კერების განაწილება ფართობის მიხედვით

№	ზვავის კერის ფართობი, ჰა	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	$\leq 0,3$	140	23	623	32	763	30
2	0,3-0,5	175	29	366	20	541	21
3	0,51-1,0	104	17	263	13	367	14
4	1,1-5,0	63	10	237	12	300	12
5	5,1-10,0	54	10	203	10	257	10
6	10,1-100	53	9	197	10	250	10
7	≥ 100	14	2	58	3	72	3

ზვავის კერის ზედაპირის დახრილობა იცვლება $17-18^0$ -დან (მდ. ენგურისა და მდ. რიონის აუზები) 53^0 - მდე (მდ. შავი არაგვის აუზი). 20^0 - მდე ზედაპირის დახრილობით დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავების კერების საერთო რაოდენობის 3% და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავის კერების 1%

ხასიათდება (ცხრ.2.1.5); 20-დან 30⁰-მდე დახრილობით - 36% და 23%, 30-დან 40⁰ – მდე დახრილობით - 54 და 50%, ხოლო 40⁰- ზე მეტი დახრილობით - 8 და 26% შესაბამისად.

ზვავის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 2550 ზვავშემკრებისათვის იცვლება 6მ/წმ-დან (მდ. ოეთრი არაგვისა და მდ. ქვაბლიანის აუზები) 67 მ/წმ-მდე (მდ. ცხენისწყლის აუზი). შედარებით დაბალი სიჩქარეებით (<30 მ/წმ-ზე) ხასიათდება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების 50% და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში 40%, ხოლო დიდი მაქსიმალური სიჩქარით (>50 მ/წმ) – 7% (ცხრ.2.1.6) [6].

ცხრილი 2.1.5. ზვავის კერების განაწილება ზედაპირის დახრილობის მიხედვით

№	დახრილობა, გრადუსი	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 20	16	3	18	1	34	1
2	21-25	58	9	140	7	198	8
3	26-30	158	26	308	16	466	18
4	31-35	198	33	479	25	677	27
5	36-40	125	21	498	25	623	24
6	41-45	41	7	311	16	352	14
7	≥ 45	7	1	193	10	200	8

ცხრილი 2.1.6. ზვავების განაწილება მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით

№	სიჩქარე, მ/წმ	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 20	65	11	255	13	320	12
2	21-30	235	39	522	27	757	30
3	31-40	194	32	644	33	838	33
4	41-50	79	13	392	20	471	19
5	>50	30	5	134	7	164	6

ზვავის წინაღობაზე დარტყმის ძალის სიდიდე დამოკიდებულია ზვავის მოძრაობის სიჩქარეზე; მცირე დარტყმის მაქსიმალური ძალა მცირე სიჩქარით მოძრავ ზვავებს ახასიათებთ, ხოლო დიდი სიჩქარით მოძრავი ზვავები გამოირჩევიან დიდი დარტყმის ძალით. ზვავის დარტყმის მაქსიმალური ძალა იცვლება 2 ტ/მ²-დან (მდ. ოეთრი არაგვის აუზი) 206 ტ/მ²-მდე (მდ. ცხენისწყლის აუზი). შედარებით მცირე (<50 ტ/მ²) მაქსიმალური დარტყმის ძალით ხასიათდება დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავების საერთო რაოდენობის 60% და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავების 51%; შედარებით დიდი (>100 ტ/მ²) დარტყმის ძალით 8% და 14% შესაბამისად (ცხრ. 2.1.7) [5,6].

დიდი მაქსიმალური სიჩქარე და დარტყმის ძალა იმ ზვავებს გააჩნიათ, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი განშტოებების, ასევე სვანეთის, ბზიფის, კოდორის ქედის ფერდობებზე მდებარე ზვავშემკრებებში წარმოიქმნებიან.

ეს ზვავშემკრებები დიდ აბსოლუტურ სიმაღლეზე იწყება და ასევე დიდია მათი შეფარდებითი სიმაღლეც. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს მთიანეთში მდებარე ზვავშემკრებებში წარმოქმნილ ზვავებს მათ შედარებით ნაკლები

მაქსიმალური სიჩქარე და დარტყმის ძალა აქვთ, რადგან საქართველოს ამ ნაწილში ზვავშემკრებები დიდი შეფარდებითი სიმაღლით არ გამოირჩევიან და მათი დასაწყისიც შედარებით დაბალ სიმაღლეზეა.

ცხრილი 2.1.7. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის მიხედვით

№	დარტყმის ძალა, G/m^2	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 25	120	20	380	20	500	20
2	26-50	245	41	623	32	868	34
3	51-75	128	21	422	22	550	21
4	76-100	60	10	238	12	298	12
5	101-125	27	4	202	10	229	9
6	> 125	23	4	82	4	105	4

ზვავის კონუსის მოცულობა 0,6 ათასი m^3 -დან (მდ. თეთრი არაგვის აუზი) 9800 ათასი m^3 -მდე (მდ. ცხენისწყლის აუზი) იცვლება. 10 ათასი m^3 -ზე ნაკლები კონუსის მოცულობით დასახლებული პუნქტებისათვის და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავების 55% და 40% ხასიათდება შესაბამისად, ხოლო მილიონ მ 3 -ზე მეტი კონუსის მოცულობით 4% და 6% (ცხრ. 2.1.8).

ცხრილი 2.1.8. ზვავების განაწილება კონუსის მაქსიმალური მოცულობის მიხედვით

№	მოცულობა, ათასი m^3	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	$\leq 5,0$	199	33	683	35	882	35
2	5,1-10	135	22	261	13	396	15
3	10,1-25	114	19	311	16	425	17
4	25,1-100	66	11	296	15	362	14
5	100,1-500	43	7	214	11	257	10
6	500,1-1000,0	21	4	70	4	91	4
7	1000,1-3000	15	2	64	3	79	3
6	> 3000	10	2	48	6	58	2

ზვავის კონუსის დიდი მოცულობა (მილიონ მ 3 -ზე მეტი) მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი განშტოებების ფერდობებზე მდებარე ზვავის კერებში წარმოქმნილი ზვავებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიანეთში მდებარე ზვავის კერებიდან ჩამოსული არც ერთი კონუსის მოცულობა არ აღწევს მილიონ მ 3 -ს. ეს ბუნებრივია, რადგან კავკასიონისა და მისი განშტოებების მაღალმთიან ფერდობებზე ზვავის კერებად ნივალურგლაციანური გენეზისის რელიეფის ფორმები (ცირკი, კარი და სხვა) გვევლინება და ზოგიერთი ასეთი ფორმის ფართობი რამდენიმე ასეულ ჰექტარს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში მდებარეობს იმ ზვავის კერების საერთო რაოდენობის 90%-ზე მეტი, რომელთა მოცულობა აღემატება მილიონ მ 3 -ს; ამის მიზეზი დასავლეთ საქართველოს უხვოოვლიან და განსაკუთრებით უხვოოვლიან რაიონებში მოსული ნალექებია და აქ თოვლის სიმაღლე სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს საშუალოთოვლიან და მცირეთოვლიან რაიონებში მოსული თოვლის

რაოდენობას. კონუსის მოცულობას კი სწორედ მოსული თოვლის რაოდენობა განაპირობებს.

ზვავის მაქსიმალური სიმაღლე, ანუ ზვავის სახით მოძრაობაში მყოფი თოვლის მაქსიმალური სიმაღლე, საქართველოს ტერიტორიაზე 5 მ-დან 38 მ-დე იცვლება (ცხრ. 2.1.9).

ცხრილი 2.1. 9. ზვავების განაწილება მაქსიმალური სიმაღლის მიხედვით

№	სიმაღლე, მ	დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებები		ორიგე ერთად	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	≤ 10	50	8	364	19	414	16
2	11-15	63	10	590	30	653	26
3	16-20	136	22	278	14	414	16
4	21-25	138	23	202	10	340	13
5	26-30	89	15	178	9	267	11
6	31-35	94	16	170	9	264	10
7	>35	33	6	165	9	198	8

აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებული პუნქტებისათვის საშიშ ზვავშემკრებებში წარმოქმნილი ზვავის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 23 მეტრს; 20 მ-ზე მეტი მაქსიმალური სიმაღლის ზვავებს, მათი საერთო რაოდენობის (199 ზვავი) 17% უკავით. დასავლეთ საქართველოში დასახლებული პუნქტებისათვის საშიში 404 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავის მაქსიმალური სიმაღლე მეტია 15 მ-ზე, ხოლო ისეთი ზვავშემკრებები, რომელშიც წარმოქმნილი ზვავების მაქსიმალური სიმაღლე 30 მ-ზე მეტია, ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 34%-ს შეადგენს. განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ზვავის მაქსიმალურ სიმაღლეებს შორია განპირობებულია მოსული თოვლის რაოდენობით.

2.1. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები და ობიექტები

ზვავსაშიშია კავკასიონის მთავარი ქედის გადამკვეთი (ქუთაისი-მამსონის უღელტეხილი, გორი-როკის გვირაბი, ობილისი-ლარსი, ახმეტა-ომალო), აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი (ახალციხე-ბათუმი, თბილისი-ქუთაისი), აგრეთვე საქართველოს ბარის მთასთან, მთიანი რაიონებისა და მათში მდებარე დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გარკვეული მონაკვეთები. იგივე ითქმის ელექტროგადამცემი ხაზების ცალკეულ მონაკვეთებზე, ასევე ცალკეულ ანძებსა თუ ბოძებზე.

საქართველოს მთიან ნაწილში 10 ათასზე მეტი ზვავშემკრებია და მათგან 2550 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი დასახლებულ პუნქტებსა თუ ცალკეულ ობიექტებს ემუქრება. მაგალითისათვის მოვიყვანო რამოდენიმე მთიან რაიონს: ჯვარი-მესტიის ტრასის ჯვარი-ხაიშის 44 კმ სიგრძის მონაკვეთს 141 ზვავშემკრები გადაკვეთს; ჩოხატაური- ბახმაროს საავტომობილო გზას - 67 ზვავშემკრები და თავად კურორტ ბახმაროში 32 ზვავშემკრებია; აჭარის ტერიტორიაზე (ხულო, ქედა, შუახევი, ქობულეთი, ხელვაჩაური) 161 ზვავის კერაა, დუშეთის რაიონს 49 ზვავი ემუქრება, მათ შორის ფასანაურს - 14, გვიდაქეს - 5, მაქართას - 6 და როშკას - 4 და ა.შ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში კატასტროფული ზვავების მასიურმა ჩამოსვლამ ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია. მაშინდელი ინსტიტუტის თოვლის ზვავების შემსწავლელი ჯგუფის (კ.აბდუშელიშვილი, ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე) ჩატარებული ორწლიანი კვლევების შედეგად

შედგენილი იყო “ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სახალხო-სამეურნეო ობიექტების ჩამონათვალი”, სადაც 185 ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი და სამეურნეო ობიექტი მდებარეობდა; მათგან 60 დასახლებულ პუნქტში ზვავების ჩამოსვლამ შენობა-ნაგებობის ნგრევა გამოიწვია, 40-ში – დაზიანება, ხოლო 85 პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიში იყო ანუ ამ პუნქტებს ზვავი ემუქრება, მაგრამ იმ დროისათვის ნგრევა და დაზიანება არ იყო დაფიქსირებული. ზვავსაშიში პუნქტები ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული (ცხრ. 2.2.1).

ცხრ.2.2.1. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების და ობიექტების რაოდენობა 1980 წლის მონაცემებით

№	პუნქტი	რ-ბა	№	პუნქტი	რ-ბა	№	პუნქტი	რ-ბა
1	გუდაუთა	1	7	ამბოლლაური	2	13	ყაზბეგი	6
2	გულრიფში	1	8	ონი	2	14	ჩოხატაური	8
3	მესტია	30	9	ჯავა	16	15	ქობულეთი	2
4	მარტვილი	1	10	ცხინვალი	6	16	ქედა	11
5	ლენტეხი	15	11	ახალგორი	11	17	შეახევი	16
6	ცაგერი	2	12	დუშეთი	21	18	ხულო	27

ყველაზე მეტი ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი მესტის (საერთო რაოდენობის 16%), ხულოს (15%) და დუშეთის (11%) რაიონებში მდებარეობდა. მდინარეთა აუზების მიხედვით ყველაზე მეტი ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი აჭარისწყლის (54, საერთო რაოდენობის 29%), ენგურის (30, 16%) და არაგვის (21, 11%) აუზებში მდებარეობდა. დასავლოთ საქართველოში ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების 69% (127), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 31% (58) იყო დაფიქსირებული.

1980 წელს შედგენილ ჩამონათვალში 85 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიშად იქნა მიჩნეული; იმ დროისათვის ამ პუნქტებში ნგრევა და დაზიანება არ აღმინდებოდა, მაგრამ საველე მასალებისა და ოთხორიული გამოთვლების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ პუნქტებში არსებული ზვავშემკრებებიდან ჩამოსულმა ზვავებმა შესაძლებელია მატერიალური ზარალი გამოიწვიოს.

1980 წლის შემდეგ ჩატარებული ექსპედიციების დროს გამოვლინდა, რომ ზვავების ჩამოსვლამ 85 პოტენციურად ზვავსაშიში პუნქტიდან 10-ში ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია, 19-ში ნგრევა, 21-ში შენობა-ნაგებობის დაზიანება, ხოლო 35 დასახლებული პუნქტი იყო პოტენციურად ზვავსაშიში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რამოდენიმე წლის განმავლობაში თოვლის ზვავების კადასტრზე მუშაობისას ჩატარებული საველე სამუშაოები როგორც საქართველოში, ისე ამიერკავკასიის ქვეყნებსა და დაღესტანში [14-16].

შემდგომმა კვლევებმა და განსაკუთრებით კი 1987 წლის, გამორჩეულად უხვოვლიანი, ზამთრის შემდეგ ექსპედიციების დროს მოპოვებულმა მასალებმა, მაღალმთიანი ტერიტორიების ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზვავსაშიში პუნქტების რაოდენობა არა 185 იყო, არამედ - 343, ანუ 153 ერთეულით გაიზარდა. ეს სავალალო შედეგი, ძირითადად, ტყის არასწორი ექსპლუატაციით იყო გამოწვეული, გარდა ამისა ამ პროცესს სპორადული, ანუ იშვიათი განმეორადობის, ზვავების ჩამოსვლამაც შეუწყო ხელი.

მხოლოდ ერთი ზამთრის 1986/87 წწ. იანვარში ჩამოსული ზვავების შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა.

წლების განმავლობაში ზვავებისაგან მიყენებული კატასტროფული შედეგები და მატერიალური ზარალი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრ. 2.1.2).

ცხრილი 2.2.2 ზვაგების ჩამოსვლის შედეგი


მსხვერ-პლი	ნაგებობა		სხვადასხვა ობიექტი	ღობე, მ	ტყე, ჰა	ხეხილი, ძირი	საქონელი	
	ნგრევა	დაზიან.					მსხვ.	წვრილება
1	2	3	4	5	6	7	8	9
660	2700	3560	650	15455	381	764	2150	2585

დაინგრა 2700 და დაზიანდა 3560 საცხოვრებელი სახლი, აღსაღვენი გახდა 650 სკოლა, საბავშვო ბადი, საკურორტო ნაგებობა, საავადმყოფო, ქლუბი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი და სხვა აღსაღვენი გახდა 1000 კმ-ზე მეტი გზატკეცილი, ასეულობით კილომეტრზე კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები [1, 5, 6].

343 დასახლებული პუნქტიდან 78-ში ზვაგების ჩამოსვლამ ნგრევასთან ერთად ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვია, 82 - ში ნგრევა, 63 - ში დაზიანება, ხოლო 120 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვაგსაშიშია (ცხრ.1.2.1).

საქართველოს ტერიტორიისათვის შევადგინეთ ზვაგსაშიში და პოტენციურად ზვაგსაშიში რაიონების რუკა (ნახ. 2.2.1).

ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტების რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩევა მესტიის (61), დუშეთის (49), ხულოს (45), ლენტების (34), ჯავის (25), შუახევის (21) რაიონები.



ნახ. 2.2.1. ზვაგსაშიში და პოტენციურად ზვაგსაშიში რაიონები საქართველოში

დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტებისა და ზვაგშემკრებების მეტი რაოდენობა, ძირითადად, განპირობებულია ზვაგწარმომქმნელი ფაქტორებით, კერძოდ რელიეფის დახრილობით და უხვი ნალექებით. გარდა ამისა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბუნებრივი ტყე დიდ ტერიტორიაზე დასავლეთ საქართველოში მდ. აჭარისწყლისა და მდ. ენგურის აუზებშია გაჩეხილი.

3.ზგავსაშიშ ზონას არ გააჩნია საბოლოო საზღვრები, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება დადგინდეს, ეს მთაში მიმდინარე პროცესებთან არის დაკავშირებული. ღვარცოფი, თავსხმა ნალექი, მეწყერი, ტყეში გაჩენილი ხანძარი,

მიწისძვრა და სხვა გარემოებები გავლენას ახდენენ ზგავების ხასიათზე. თავად ზგავიც, იმ ზონაში სადაც გადაადგილდება, ცვლის პირობებს. ეს განსაკუთრებით სპორადული ანუ იშვიათი განმეორადობის ზგავებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ზგავი 20-25 წლის განმავლობაში არ ჩამოსულა, ამ პერიოდის განმავლობაში ძველი ზგავის ჩამოსვლის ადგილას ტყე გაიზარდა და თუ კვლავ შეიქმნება ზგავების ჩამოსვლისათვის ხელსაყრელი პირობები, ეს ტყეც განადგურდება, ხოლო თუ მომდევნო ზამთარიც უხვნალექიანი აღმოჩნდა, მაშინ ცხადია ზგავი უფრო დიდ ზიანს მიაყენებს გარემოს, რადგან წინა ზამთარში 20-25 წლიანი ტყის განადგურებაზე იგი ენერგიას აღარ ხარჯავს და უფრო დიდ ფართობზე გაანადგურებს ტყის მასივებს. ზგავსაშიში ტერიტორიის ზონირებისათვის აუცილებელია რისკებისა და სხვადასხვა ხარისხის საშიშროების გათვალისწინება. შეეიცარიაში მიღებულია სამფერიანი სისტემა. პირველ ზონად - დიდი საფრთხის შემცველი ზონა (წითელი ფერი), ცისფერი - პოტენციალურად ზგავსაშიში, ხოლო თეთრი - უსაფრთხო ზონა. კრიტერიუმად მიღებულია ზგავის დარტყმის ძალა და ზგავების ჩამოსვლის საშუალო დრო.

1993 წლიდან ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთის ფედერაციაშიც მოქმედებს ზგავების წარმოქმნის რისკის კლასიფიკაცია (ცხრ.1).

ცხრილი 3.1. ზგავების წარმოქმნის რისკი

№	რისკის დონე	თოვლის სტაბილურობა	ზგავების ჩამოსვლის რისკი
1	დაბალი	თოვლი ძალიან სტაბილურია	ზგავების ჩამოსვლა ნაკლებსავარაუდოა, გარდა ძლიერი ზემოქმედებისა. ზგავების მოულოდნელი ჩამოსვლა გამორიცხულია
2	შეზღუდული	თოვლი საშუალო მდგრადობისაა	განსაკუთრებით დამრეც ფერდობებზე ზგავების ჩამოსვლა შესაძლებელია ძლიერი ზემოქმედებისას. ზოგადად ზგავების ჩამოსვლა არ არის მოსალოდნელი
3	საშუალო	რიგ დამრეც ფერდობებზე თოვლი სუსტი მდგრადობისაა	ზგავების ჩამოსვლა შესაძლებელია თოვლის მასაზე მცირედი ზემოქმედების დროსაც. ცალკეულ ფერდობებზე შესაძლებელია საშუალო და დიდი ზგავების ჩამოსვლა
4	მაღალი	უმეტეს დამრეც ფერდობებზე თოვლი არასტაბილურია	ზგავების ჩამოსვლა შესაძლებელია უმეტეს ფერდობებზე თოვლის მასაზე მცირედი ზემოქმედების დროსაც. რიგ ადგილებში შესაძლებელია კატასტროფული ზგავების ჩამოსვლა
5	ძალიან ძლიერი	თოვლი არასტაბილურია	დიდი ზომის ზგავების ჩამოსვლა შესაძლებელია თითქმის ყველა ზგავსაშიში ფერდობიდან

ჩვენი ქვეყნის ზგავსაშიშ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მთლიანი ფართობის 56%-ს შეადგენს, ზგავსაშიშროების ხარისხის მიხედვით გამოვყავით ოთხი რაიონი: სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი

ზვავსაშიშროების რაიონები (ნახ.3.). სუსტი ზვავსაშიშროების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები ნაკლებია შემდეგ სიდიდეებზე: ტერიტორიის ზვავაქტიურობა - 20%-ზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე - 5 ზვავშემკრებზე 1 კმ²-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 5 შემთხვევაზე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 50 დღეზე ერთ ზამთარში; საშუალო ზვავსაშიშროების რაიონში ზემოთ ჩამოთვლილი რაოდენობრივი მახასიათებლები მეტია 20%-ზე, 5 ზვავშემკრები 1 კმ²-ზე, 5 შემთხვევაზე და 50 დღეზე; ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები შესაბამისად აღემატება 40%-ს, 10 ზვავშემკრებს 1კმ²-ზე, 10 შემთხვევას და 100 დღეს ერთ ზამთარში; განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში კი რაოდენობრივი მახასიათებლები აღემატება 60%-ს, 15 ზვავშემკრებს 1კმ²-ზე, 15 შემთხვევას და 150 დღეს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 10 ათასზე მეტი ზვავშემკრებიდან, იმ 2550 ზვავშემკრების შესწავლისას, რომლებიც დასახლებულ პუნქტებსა და სხვადასხვა ობიექტებს ემუქრება, რისკების გათვლა სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონებისათვის ზვავის დარტყმის ძალისა და ზვავშემკრების ფართობის მიხედვით მოვახდინეთ. (ცხრ.3.2). [16,26].

ცხრილი 3.2. საქართველოს სუსტი, საშუალო, ძლიერი, განსაკუთრებით ზვავსაშიში რაიონები (დარტყმის ძალისა და ზვავშემკრებების ფართობის მიხედვით)

ზვავსა-შიშროება	დარტყმის ძალა, ტ/მ ²	ზვავშემკრების ფართობი, კმ ²	ზვავის ჩამოსვლის შედეგი
სუსტი	<20	<0,004	შენობების დაზიანება, ხის მსუბუქი ნაგებობების ნგრევა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება, ხეებისა და ხეხილის დაზიანება
საშუალო	21-40	0,005-0,008	ადამიანთა მსხვერპლი, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების დაზიანება, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეფერხება, ტყის განადგურება
ძლიერი	41-60	0,009-0,012	ადამიანთა მსხვერპლი, ნგრევა, მოძრაობის შეჩერება, გზებისა და ხიდების დაზიანება, ელექტროგადამცემი ხაზებისა და მათი საყრდენი ბოძების დაზიანება, ნარგავებისა და ტყის განადგურება
განსაკუთრებით ძლიერი	>60	>0,012	ადამიანთა მსხვერპლი, მიწისპირა შენობების ნგრევა, გზების დაზიანება, მიწისზედა სადენების, მრავალწლიანი ნარგავებისა და ტყის განადგურება

არსებული ლიტერატურული წყაროების ანალიზმა და მრავალწლიურმა კვლევებმა, რომელიც პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში გარდებოდა, შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფორმა (პროფილაქტიკური, საინჟინრო, ზვავშემაკავებელი და ზვავდამცავი). ზვავსა-

წინააღმდეგო დონისძიებები დავყავით ორ ჯგუფად: პასიურ და აქტიურ ღონისძიებებად (ცხრ.3.3) [1,2,16,22].

პასიური ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები ზვავშემკრების ტერიტორიაზე რაიმე სამუშაოს ჩატარებას (საინჟინრო, გატყიანება, დატერასება და სხვა), თოვლის საფარზე ზემოქმედებას (თოვლის მოძრაობაში მოსვლის ხელშემშლელი ფარები, ღობები, ბადეები, თოვლზე ქიმიური ზემოქმედება, დატკეპნვა და სხვა), თოვლის საფარის მოძრაობაში მოყვანას (აფეთქება, კარნიზების მოხერხვა და სხვა), ზვავების ბუნებრივ პროცესებში ჩარევას (მიმართულების შეცვლა, დამუხრუჭება, გაჩერება და სხვა) არ ითვალისწინებს. რაც შეეხება პასიური ღონისძიებებიდან პიდრომეტეორილოგიის ინსტიტუტში დღეისათვის ზვავების პროგნოზის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ცალკეული ზვავშემკრებების ან მცირე ფართობის მქონე ტერიტორიების ზვავსაშიში პერიოდის დადგომის პროგნოზირების მეთოდები; 2. შედარებით დიდი ტერიტორიის ფონური პროგნოზის მეთოდები.

ცხრილი 3.3 ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების კლასიფიკაცია


№	პ ა ს ი უ რ ი	№	ა ქ ტ ი უ რ ი
1	ზვავსაშიში ტერიტორიის გამოკვლევა, უსაფრთხო ადგილის შერჩევა	4	ღონისძიებები ზვავის კერაში (დროებითი, კაპიტალური, საინჟინრო ნაგებობები, გატყიანება)
2	ზვავის პროგნოზის მეთოდები (ცალკეული ზვავშემკრებისათვის, მთიანი რეგიონისათვის)	5	ღონისძიებები ზვავსადენში (ზვავის ამცილებელი, ობიექტის თავზე გამჩვები, დამშლელი ნაგებობა)
3	ზვავსაწინააღმდეგო სამეთვალყურო სამსახური (საგუშაგოების მოწყობა, სამაშველო რაზმების შექმნა)	6	ღონისძიებები ზვავის გამოზიდვის კონუსში (ზვავის ამცილებელი, დამშლელი. დამამუხრუჭებელი და გამაჩერებელი ნაგებობები)

საქართველოში ჩამოსული ზვავების საერთო რაოდენობის 80% ახალმოსული თოვლისაგან წარმოიქმნება. ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შემუშავებულია ყველა გენეზისის ზვავის ჩამოსვლის პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დანერგილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში, საიდანაც მოსახლეობას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია მოსალოდნელი ზვავსაშიშროების შესახებ.

აქტიურ ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად ერევა ადამიანი. იგი ცდილობს ზვავის კერის ზედაპირის ფორმის შეცვლას, ზვავის პროფილაქტიკური ჩამოსვლა გამოიწვიოს ან ხელი შეუშალოს მათ წარმოქმნას. აქტიური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება შესაძლებელია ზვავსადენში, ზვავის გამოზიდვის კონუსში და ზვავის კერაში.

საქართველოს ზვავსაშიში ტერიტორიები დეტალურად არის შესწავლილი და შედგენილია ზვავსაშიშროების რუკები, რომლებიც “საქართველოს ეროვნულ ატლასში”, “საქართველოს კლიმატურ და აგროკლიმატურ ატლასში” და “საქართველოს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეები და რისკები”-ს ატლასშია შეტანილი [13-15]. ეს არის საქართველოს ტერიტორიის თოვლიანობის რუკები (თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის), ზვავშემკრებების გავრცელების, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობის, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური, ტერიტორიის ზვავაქტიურობის და ზვავსაშიშროების რუკები. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკას


(ნახ.3.1), რომელიც გვიჩვენებს თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი, ანუ ტერიტორიის რა ნაწილია აქტიური ზვავების წარმოქმნის თვალსაზრისით. რუკაზე წარმოდგენილია ნულოვანი, $< 20\%$, $20\%-40$, $40\%-60$ და $>60\%$ და $>60\% - \text{ზე}$ ზვავაქტიური ტერიტორიები;



ნახ. 3.1. საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკა

ტერიტორიის ზვავსაშიშროების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ზვავის კერების, ანუ ზვავშემკრებების რაოდენობა $1 \text{ კმ}^2\text{-ზე}$. საქართველოში ამის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან საშუალომთიან და მაღალმთიან ზონებში ზვავი არა ათეული წლის განმავლობაში, არამედ ერთ ზამთარშიც მრავალჯერ შეიძლება ჩამოვიდეს. გასათვალისწინებელია ზვავების ჩამოსვლის განმეორადობის (სიხშირის) გათვალისწინება. მნიშვნელოვანია ზვავსაშიშ დღეთა რაოდენობაც. სწორედ ზვავსაშიშროების ოთხი ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლის (ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა) მიხედვით შედგენილია საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროების რუკა, სადაც გამოიყო განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო, სუსტი და არაზვავსაშიში რაიონები (ნახ.3.2).

ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებს უკავიათ საქართველოს ტერიტორიის 12, 33, 8 და 3% შესაბამისად.



ნახ. 3.2. ზვავსაშიში რაიონების რუკა

3.1 ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები, პრობლემები და საკითხის გადაწყვეტის გზები

მსოფლიოს მთიან რაიონებში ზვავსაწინააღმდეგო ბრძოლის მრავალი მეთოდი არსებობს. თავდაპირველად იწყება ტერიტორიის ზვავსაშიშროების შეფასება, ტყის მასივების დაცვა და მათი აღდგენა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზვავსაშიშროების პროგნოზის დროული გაცემა.

ზვავსაშიში რაიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

1. ადგილმდებარეობის ანალიზი;
2. ამინდის პროგნოზი მათ შორის ზვავსაშიშროების პროგნოზი;
3. საშიშროების კლასიფიკაცია;
4. მოქმედების გეგმა.

ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტებისა და სხვადასხვა ღონისძიებების გატარებისას გასათვალისწინებელია ზვავების რეჟიმი და მათი ხასიათი, ასევე თოვლის საფარის სიმაღლე, ლანდშაფტის მორფოლოგია, თავად დასაცავი ობიექტისათვის შესაბამისი ზვავსაწინააღმდეგო კონსტრუქციებისა და ღონისძიებების შერჩევა.

ზვავსაშინააღმდეგო ღონისძიებების სახეობები და ღონისძიების გატარების გზები ცხრილის სახითაა წარმოდგენილი. (ცხრ. 3.1.1). [16].


ცხრილი 3.1.1 ზვაგსაწინააღმდეგო დონისძიებების სახეობა

№	დონისძიების სახეობა	დონისძიების გატარება
I. პროფილაქტიკური		
1	ზვაგსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზება, დაკვირვება, პროგნოზი და ინფორმაციის გაფრცელება	ზვაგების ჩამოსვლის პროგნოზი. მოსახლეობის დროული ინფორმირება და ზვაგსაშიში ზონიდან გაყვანა
2	ზვაგების ხელოვნური გამოწვევა	თოვლის საფარის მდგრადობის პროგნოზის საფუძველზე ზვაგების რეგულარული ჩამოშვება სროლით, აფეთქებით, კარნიზის მოხერხვით და სხვა.
II. ზვაგის ამაცილებელი სისტემები		
1	თოვლშემაკავებელი ნაგებობები (ღობე, კედული, დამცავი ფარი, ხიდი, მავთულხლართი). ფერდობის დატერასება და გატყიანება	თოვლის საფარის მდგრადობის მიღწევა ზვაგების წარმოქმნის ზონებში, მათ შორის ფერდობების დატერასებისა და განაშენიანების გზით, რითაც მოხდება თოვლდაგროვების რეგულირება
2	თოვლშემაკავებელი დობების და ფარების სისტემა	თოვლდაგროვების აცილება ზვაგების წარმოქმნის ზონებში
III. ზვაგებისაგან დაცვა		
1	მიმართულების შემცვლელი ნაგებობები; კედელი, ხელოვნური ზვაგსადენი, ზვაგისმჭრელი	ზვაგის მიმართულების შეცვლა, ზვაგსაშიში ობიექტის დაცვა
2	შემაჩერებელი და შემაფერხებელი ნაგებობები; დაბა, ბორცვი, ტრანზე	ზვაგის შეჩერება და მისი გადაადგილების შეფერხება
3	ზვაგგამშვები ნაგებობები: გალერეა, ესტაკადა, ფარდული	ზვაგების გაჩერება ობიექტის თავზე ან მათ ქვემოთ


3.2. ზვაგსაწინააღმდეგო ნაგებობები

ზვაგებისაგან დაცვის სტრატეგია ისეთ ზვაგსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობას გულისხმობს, რომელიც ადამიანების უსაფრთხო ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. უხსოვარი დროიდან ალპებსა და კავკასიაში ისე აშენებდნენ სახლებს, რომ სახლის უკანა კედელი ფერდობზე ყოფილიყო მიბჯენილი, ხოლო სახლის სახურავს ისეთი დახრის კუთხე უნდა ჰქონოდა, რომ თოვლის მასას მასზე დაცურების საშუალება ეძლეოდა ან უკანა კედელს უნდა ქონოდა ისეთი ფორმა, რომ შეესრულებინა ზვაგის მჭრელის ფუნქცია (ნახ.3.1.1). ასეთი პრინციპით არის აგებული დვოისმშობლის ეკლესია დავოსში, რომელიც სხვადასხვა წლებში, თავდაპირველად აგებისთანავე 1602 წელს 70 სახლთან ერთად დაინგრა, აღდგენის შემდეგ 1817 წელს ჩამოსულმა ზვაგმა მხოლოდ ეკლესიის გუმბათი დაფარა და სწორედ ზვაგისმჭრელის ფორმის აგებული

კედლის წყალობით გადარჩა, 1968 წლის 25 იანვარს ჩამოსულმა ზვავმა კი მხოლოდ გალავნის გვერდითი კედელი დააზიანა (ნახ.3.2.1-3.2.2).



ნახ. 3.2.1. შესაბამისი კონსტრუქციებით საცხოვრებელი სახლების დაცვა ზვავებისაგან



ნახ. 3.2.2. ღვთისმშობლის ტაძარი დაცოსში (შეეიცარია)

მთიანი რაიონების მოსახლეობა ითვალისწინებდა რა ზვავსაშიშროებას, მშენებლობისათვის შედარებით უსაფრთხო ადგილებს ირჩევდა. მათი საცხოვრებელი სახლები არაზასაშიშ, ქედების ციცაბო, თხემურ ნაწილზე ან ქედების ძირში იყო განთავსებული, ხოლო ზვავებისაგან დასაცავად მიწურებსა და ფარდულებს აფარებდა თავს.

ზვავებისაგან დაცვის კაპიტალური ღონისძიებები ითვალისწინებს საინჟინრო ნაგებობებს, რომლის მიზანი ერთის მხრივ ზვავების წარმოქმნისათვის ხელშეშლაა, ხოლო მეორე მხრივ ზვავსაშიში მონაკვეთის დაცვაა.

მე-18 საუკუნეში, 1805 წელს ალპებში სიმპლონის უდელტეილზე ნაპოლეონის ბრძანებით ყველაზე ზვავსაშიშ მონაკვეთებზე პირველი გალერეა აშენდა. გალერეა რკინიგზისა და სააგტომობილო გზების ერთ-ერთი საიმედო

დაცვის საშუალებაა. ასეთი გალერეები გვხვდება ყირგიზეთში, კავკასიაში, საქართველოში საქართველოს სამხედრო გზაზე (სურ.3.2.3).



სურ. 3.2.3 ზვავსაწინააღმდეგო გალერეა საქართველოს სამხედრო გზაზე

1885 წელს პირველი ბეტონის კედელი საქართველოს სამხედრო გზაზე ზვავი “ბოდო”-საგან დასაცავად აშენდა.

ზვავის მოძრაობის შეფერხება ან შეჩერება ხდება ზიგზაგებრისებრი მონაკვეთების შექმნით, რაც შესაძლებელია მიზანმიმართული აფეთქებების გზით. ასეთი მეოთხი ესპანეთის პირინეის მთებში გამოიყენება. ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების სიმტკიცეს და საიმედოობას თავად ზვავი განსაზღვრავს. ხიბინებში, ალპებში, იაპონიის მთებში ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს, რომ აუცილებლად გასათვალისწინებულია ადგილობრივი პირობები და ზვავის ხასიათი.

მე-18 საუკუნიდან ფიქრობდნენ თუ როგორ შეეგავებინათ თოვლი ფერდობზე, ითხრებოდა ფერდობები, ზვავის მოწყვეტის ადგილას ხდებოდა ბოძების ჩასმა, და ეს მარტივი კონსტრუქციები - ღობეებს მოგვაგონებდნენ. პირველი საინჟინრო განაშენიანება ზვავსაში ფერდობების 1868 წელს გრაუბიუდენში (შვეიცარია) მოხდა. ზვავსაში ფერდობზე 19 ქვის ღობე 17 რიგად აშენდა, რომლის ჯამური სიგრძე 412 მ-ს შეადგენდა. მას შემდეგ ამ ფერდობზე ზვავი არ ჩამოსულა. ასევე აწარმოებდნენ ფერდობების დატერასებას. დღეისათვის ქვის ღობეები რკინა-ბეტონის, ხის, ალუმინის, ფოლადის, პლასტმასის მარტივი კონსტრუქციებით იცვლება. პლასტმასისა და ნეილონისაგან ამზადებენ თოვლის შემაკავებელ ბადეებს (სურ. 3.2.4 - 3.2.5).

თანამედროვე ზვავსაწინააღმდეგო ღობეების ერთი მეტრის ღირებულება 500 ღოლარს შეადგენს. მაგალითად შვეიცარიის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის სენ-ანტონიონის 150 ადგილობრივი მოსახლის დასაცავად ყოველწლიურად მილიონ ნახევარი ღოლარი გამოიყოფა.





სურ. 3.2.4 ზვავის შემაკავებელი ალუმინის ბადე



სურ. 3.2.5 ზვავის შემაკავებელი ნეილონის ბადე

რიგ ქვეყნებში ზვავის მიმართულების შემცვლელ დამბებს ზვავის სიჩქარის შესასუსტებლად და შესაკავებლად აგებენ. ასეთი ნაგებობები ბევრია ალპურ ქვეყნებში, მაგალითად ოლიმპიურ სოფელს ინსპრუქს დიდი ზვავსაწინააღმდეგო დამბა იცავს, ასეთი ნაგებობები ბევრია ხიბინებში, ქალაქ კიროვსკის რაიონში.

ზვავის წარმოშობის ადგილებში სპეციალურ ფარებს “კალკტაფელებს” ათავსებენ. იგი შეიძლება იყოს ტრაპეციის ფორმის, ან ორი ფარი, რომელიც პერპენდიკულარულად, ჯვრის ფორმითაა წარმოდგენილი (ნახ.3.2.6 - 3.2.7).




ნახ. 3.2.6 - 3.2.7 “კალკტაფელების კონსტრუქცია.

ასეთი ფარების საშუალებით, ქარის გავლენით ძლიერდება თოვლის გადა-
ბანა სხვადასხვა მიმართულებით და 10 მ-ის დიამეტრის უთოვლო მონაკვეთები

წარმოიქმნება. მათი საშუალებით თოვლის საფარი რამოდენიმე ნაწილად იხლიჩება.

ზვავებისაგან დასაცავად აუცილებლად გასათვალისწინებელია თოვლის საფარის და ზვავების ხასიათი, ზოგჯერ კი კომპლექსური დონისძიებებია გასათვალისწინებელი (ნახ.3.2.8).



ნახ. 3.2.8. ზვავებისაგან დაცვის კომპლექსური სისტემა

1. ზვავის მიმართულების შემცვლელი დამბა;
2. ზვავის შემაფერხებელი ბორცვები და ზვავშემაკავებელი დამბა;
3. ზვავსაწინააღმდეგო გალერეა.
4. თოვლ შემაკავებელი ნაგებობა.

3.3. ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება.

აშშ-ში ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვებისათვის გამოიყენება ნაღმები და სატყორცნი ყუმბარები (метательный снаряд), სატყორცნი ყუმბარების გამოყენების შემთხვევაში რამოდენიმე საცეცხლე პოზიციიდან არის შესაძლებელი დიდი რაიონის გაკონტროლება. ასეთი მეთოდი გამიყენეს ოლიმპიური თამაშების დროს სკო-ველებში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა ორი საათის განმავლობაში ოცდაათამდე ზვავშემკრებიდან ჩამოუშვეს ზვავი.

ზვავსაშიშ ზონაში აფეთქება შესაძლებელია იმ შემთხვევაში:

1. ერთი ფერდობიდან ზვავის ჩამოსვლის დროს აუცილებლად უნდა შემოწმდეს სხვა ფერდობებიც;
2. ზოგჯერ, აფეთქების შემდეგ თოვლი ისევ რჩება ფერდობზე ან შესაძლებელია მცირე ზომის ზვავის ჩამოსვლა.

ფერდობიდან ზვავების ჩამოსაშვებად გამოიყენება:

1. სამხედრო ტეტრიტოროლის ფუგასური ჭურვები C – 3 და ტროტილი;
2. სეისმოგრაფიული დენტი;
3. სამხედრო ჭურვები 105 მმ-ზე ნაკლები სიმძლავრის;
4. გამონაკლის შემთხვევაში – დინამიტი.

თოვლის კარნიზებია ჩამოსაშლელად გამოიყენება:

1. ტექნიკური 40%-იანი ჟელატინ-დინამიტი, რომელიც არ იყინება;
2. სამხედრო ფუგასური ჭურვები ან სეისმოგრაფიული დენტი;
3. კარნიზის წარმოქმნამდე შესაძლებელია წინასწარ გათხრილ ორმოებში ფუგასური ჭურვების განლაგება;
4. შესაძლებელია დეტონარორების გამოყენება, კერძოდ: ა).ელექტრონული და ცეცხლოვანი კაფსულა დეტონატორები ან დეტონატორის ზონარი; ბ). დეტონატორი ფუგასური ჭურვისათვს უნდა იყოს №8 ან მეტი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვის წესები.

3.4. ზვავების წინააღმდეგ არტილერიის გამოყენება

ქვემეხს, ნაღმტყორცნს, სარაკეტო მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ სიზუსტე და შორ მანძილზე სროლის უნარი, უნდა იყოს მობილური, საიმედო და გამოირჩეოდეს მართვის სიმარტივით. სხვადასხვა იარაღიდან გამოირჩევა 75 და 100 მმ-ის კალიბრის ქვემეხები, ასევე 75 მმ-ის პაუბიცები. 105 მმ-ზე მეტი კალიბრის იარაღის გამოყენება რეკომენდირებული არ არის. [24]

105 მმ-იანი ე.წ. ჟკუგორების (ნეზოკათნი) ქვემეხი თითქმის არ განსხვავდება 75 მმ-ისაგან როგორც სროლის სიზუსტით ისე ექსპლუატაციითა და სანდოობით. სროლის სიშორე მისი უფრო დიდია, ასევე დიდია დარტყმის ძალაც, თოვლზე ადგილად გადაადგილდება, მისი განთავსება შესაძლებელია როგორც ავტომობილზე, ისე რომელიმე პლატფორმაზე. ეს იარაღი შესაძლებელია გამოიყენონ საავტომობილო გზების დაცვის მიზნით. ნაღმტყორცნების გამოყენება შეუძლებელია იმ ადგილებში, სადაც ნაგებობები და დასახლებული პუნქტებია, რადგან მათი დაზიანება შესაძლებელია ყუმბარის ნამსხვრევებით. ასევე ზემოქმედების დროს აუცილებელია გზების გადაკეტვა და გადაადგილების შეზღუდვა. გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი პრინციპები.

3.5. თოვლის ზვავებისაგან დაცვის თანამედროვე მეთოდები

ზვავებისაგან დასაცავად აუცილებელია როგორც აქტიური (ზვავებთან ბრძოლა), ისე პასიური (ზვავებისაგან დაცვა) ზვავსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენება.


აქტიურ ღონისძიებებს მიეკუთვნება თოვლის საფარზე ზემოქმედების **GAZEX** –ი, **AVALAUNCHE** (პნევმატური ქვემეხი) და **DAISYBELL**-ი კომპლექსის გამოყენება.

1989 წელს ფრანგულმა ფირმამ “ალპურმა ტექნოლოგიურმა უსაფრთხოებაშ” 15 წლიანი ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ დააპატენტა **GAZEX**-ი სისტემა, სადაც ჟანგბადისა და პროპანის შენაერთის საშუალებით ხდება ზვავების ხელოვნურად გამოწვევა. ასეთი სისტემა მსოფლიოში გამოიყენება როგორც

ზამთრის კურორტების, ისე გზების, გვირაბების და საცხოვრებელი კომპლექსების დასაცავად. 2002 წელს ეს სისტემა გამოიყენეს რუსეთის ფედერაციაში კრასნოდარის მხარის “კრასნაია პოლიანა”-სა და 2008 წელს კურორტ “როზა ხუტორ”-ში (სურ. 3.5.1).

ამ სისტემას სამმაგი მოქმედება გააჩნია:


1. იწვევს თოვლის მასის რღვევას გაზების წვის შედეგად;
2. იწვევს თოვლის საფარის გამკვრივებას;
3. სეისმური ტალღა, რომელიც სისტემის ამოქმედებისას წარმოიქმნება, იწვევს თოვლის მასის ჩამოსვლას.



სურათი 3.5.1. ზვავსაწინააღმდეგო GAZEX-ის სისტემა

სისტემა შედგება ორი ნაწილისაგან **SHELTER** –ისაგან (სისტემის შემქმნელის სახელი), ანუ მართვის პუნქტისაგან, სადაც ჟანგბადისა და პროპანის რეზერვუარი, ელექტრონული მართვის სისტემა, რადიოსიგნალების მიმღები მოწყობილობა, თოვლის საფარის პარამეტრების განმსაზღვრელი ხელსაწყოა მოთავსებული (3.5.1. სურათის მარჯვენა ნაწილი). ერთი ასეთი რეზერვუარი მომსახურებას უწევს 5 **EXPLODER**-ს (აქტიური ზემოქმედების დანადგარს) (სურათის მარცხნა ნაწილი). ეს აქტიური ზემოქმედების დანადგარი წარმოადგენს მეტალის მიღებს, რომელიც თავსდება ზვავშემკრებში და რომელთანაც მიერთებულია გაზგამტარი მიღები, თავად მიღები ძირითად პუნქტში განთავსებულ რეზერვუართან არის მიერთებული. **EXPLODER**-ის შიგნით ხდება ჟანგბადისა და პროპანის (1:6 წილით) შეერთება. ეს სისტემა მუშაობს ზამთრის მთელი სეზონის განმავლობაში ნებისმიერი ამინდის პირობებში და ზვავების გამოწვევა შეუძლიათ მანამ, სანამ ზვავი მიაღწევს

დამანგრეველ მასას და ძალას. მაგ. კურორტ “როზა ხუტორ”-ში ცირკში განთავსებულია 34 **EXPLODER**-ი (სურ.3.5.2).



სურათი 3.5.2. კურორტ “როზა ხუტორ”-ში განთავსებული **EXPLODER**- ები.



სურათი 3.5.3. პნევმატური ქვემეხი **AVALAUNCH**.

AVALAUNCH პნევმატური ქვემეხია, რომელმაც საარტილერიო იარაღი შეცვალა. ჭურვი-რაკეტა სპეციალური თხევადი (უსაფრთხო) კომპონენტებისაგან და დეტონატორისაგან შედგება. ქვემეხი შეიძლება განთავსდეს როგორც

სტაციონალურად ერთ გარკვეულ ადგილზე, ისე შესაძლებელის მისი გადატანა ხრახნიანი ტრანსპორტით. მისი გასროლის მანძილი 2 კმ-ია (სურ.3.1.1).

DAISYBELL - ი (ე.წ.“ზარი) ზვავებზე აქტიური ზემოქმედების უახლესი ტექნოლოგიაა, რომელის ძნელადმისაწვდომი ზვავშემკრებების ცალკეულ უბნებზე ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა. სისტემა წარმოადგენს მეტალის კონუსს სპეციალური მოწყობილობით, რომელიც ტროსით არის მიმაგრებული ვერტმფრენზე. **DAISYBELL** – ის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ დისტანციური ინიცირებით ხდება მეტალის კონუსში მოთავსებული ჟანგბადისა და წყალბადის ნარევის აფეთქება. კონუსი დამზადებულია მაღალიმდგრადობის ფოლადისაგან, რაც საშუალებას იძლევა რომ დაიკავოს გაზების ნარევი აალებამდე და მიმართოს თოვლის საფარისაკენ ასაფეთქებლად. (სურ.3.5.4).



სურათი 3.5.4. **DAISYBELL** - ით (ე.წ.“ზარით”) ზვავშემკრებზე ზემოქმედება.

DAISYBELL - ის (ე.წ.“ზარის) ექსპლუატაცია დამოკიდებულია ფრენის პირობებზე, მისი გამოყენება შესაძლებელია დღის საათებში კარგი ხილვადობის პირობებში და მიჩნეულია, რომ ეს წარმოადგენს ამ სისტემის ნაკლს.

3.6 ზვავსაწინააღმდეგო რაკეტები ზვავსაწინააღმდეგო გამოიყენება შემდეგი ტიპის რაკეტები:


1. **ПРЛ -2,5 Н**. კალიბრი 60, სიგრძე – არაუმეტეს 850 მმ, მასა -3 კგ, მოქმედების რადიუსი – 2500 მ.

2. “КИЗИЛ –Т” რეაქტიულ ზვავსაწინააღმდეგო კომპლექსს გააჩნია 650-7000 მ-მდე გასროლის სიშორე. გამოიყენება ძნელადმისაწვდომ რაიონებში, მისი დანიშნულების ადგილზე გადატანა ხორციელდება ავიაციით, ვერტმფრენით ან ავტოტრანსპორტით, შესაბამისი უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

კომპლექსი შედგება: 80 მმ-იანი С-8 სისტემის რაკეტებისაგან; მრავალ-ლულიანი გამშვები პულტის მქონე დანადგარისაგან. МК - 52 ტიპის მიკრო-კალკულატორისაგან და ლაზერული სამიზნებელი - მანძილმზომისაგან; მისი ტექნიკური მახასიათებლებია: კალიბრი - 80, გასროლის მაქსიმალური მანძილი 7000 მ, მინიმალური - 650 მ; რაკეტის მასა - 11,6 კგ; ПУ მიმართულების რაოდენობა - 5, ПУ- მასა არაუმტეს 150 კგ, ПУ საგელე მდგომარეობიდან საბრძოლო მდგომარეობაში გადასვლის დრო 8-10 წთ.

4.საქართველოს ზგავსაშიში რაიონები


დეტალურად განვიხილავთ საქართველოს ზვავსაშიშ რაიონებს. როგორც უმავ აღვნიშნეთ საქართველოს ტერიტორიის 56%-ი ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს და ამასთან ტერიტორიის 20%-ზე, მიუხედავად იმისა უხვთოვლიანია თუ არა ზამთარი, ზვავი ყოველწლიურად ჩამოდის, რაც შეეხება ტერიტორიის 36%-ს სწორედ აქ ხდება როგორც სპორადული (2-3 წლიწადში ან ათეულ წლიწადში ერთხელ) ისე სისტემატური (როდესაც ზვავის პარამეტრები სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს) ზვავების ჩამოსვლა, რომელიც გამოირჩევა დიდი დამანგრეველი ძალითა და მსხვერპლით (ნახ. 4.1).



ნახ. 4.1 საქართველოს ზვავსაშიში რაიონები

დასავლეთ საქართველოში როგორც სისტემატური, ისე კატასტროფული ზვავები აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მეტ ტერიტორიას მოიცავს (ნახ. 4.2), რაც განპირობებულია როგორც ზვავსაშიშროებისათვის აუცილებელი

დახრილობის ფერდობების არსებობით, რელიეფის დანაწევრებით, ასევე უხვი ატმოსფერული ნალექების რაოდენობით.



ნახ. 4.2 აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზვავსაშიში რაიონები

ზვავსაშიში ტერიტორიების დახასიათებას და შესაბამის გასატარებელ ზვავსაშინააღმდეგო დონისძიებების რეკომენდაციების შემუშავებას დასავლეთი საქართველოს რაიონებიდან დავიწყებთ.

4.1 მდ.ბზიფისა და კოდორის აუზების ზვავსაშიშროება

მდ. ბზიფისა და კოდორის აუზების (აფხაზეთის ტერიტორიის) ზვავსაშიშროება რთული რელიეფით (დიდი ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრება) გამოირჩება. დანაწევრების სიდრომე საშუალომთიან ზონაში 400-800 მ-ს, ხოლო მაღალმთიანში 100-1500 მ-ს აღწევს. განსაკუთრებით დიდია დანაწევრება მდ. ბზიფისა და მდ. კოდორის აუზებში. აფხაზეთის ტერიტორიის 51% დაბალმთიან, 33% საშუალომთიან და 16 % მაღალმთიან ზონაში მდებარეობს. რეგიონის მთიანი ფართობის 70%-ზე ზედაპირის დახრილობა 15⁰-ზე მეტია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზვავების ჩამოსვლისათვის, ამასთან ეს ტერიტორია განსაკუთრებით უხევთოვლიან რაიონს მიეკუთვნება. მყარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა 350 მმ-დან 2000 მმ-დან იზრდება. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე მთელ ტერიტორიაზე 100-დან 700 სმ-დან, საშუალო სიმაღლე – 30სმ-დან 500 სმ-დან, ხოლო მინიმალური სიმაღლე 0-დან 250 სმ-დან იცვლება. ასევე დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი როგორც ერთი თოვის დროს (96-212 სმ) ისე დღე-დამეში (55-110 სმ).

ტერიტორიის ზვავაქტიურობა დიდ ფარგლებში იცვლება. რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია აფხაზეთის მთლიანი ფართობის 28% უჭირავს და ძირითადად ზღვისპირა და მთისპირა დაბალმთიან ზონას მოიცავს [8]

რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ზე ნაკლებია უკავია აფხაზეთის მთლიანი ფართობის 32%; ფართო გავრცელებით ხასიათდება

დაბალმომთიან და საშუალომომთიან ზონებში, რაც განპირობებულია შერეული და წიწვოვანი ტყეების ფართო გავრცელებით. ტერიტორიის 15% მოდის რაიონზე, სადაც ზვავაქტიურობა 20-49%-ია, ის ძირითადად მოიცავს ფოთლოვანი ტყით დაფარულ საშუალომომთიან ზონას. სუბალპურ ზონაში ტერიტორიის ზვავაქტიურობა 40-60%, ხოლო ალპურ ზონის ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა 60-80%-ია, აღნიშნულ რაიონაბს 12-13% უკავიათ შესაბამისად.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ზვავსაშიშროებით გამორჩეული ოთხი ძირითადი მონაკვთია. ერთ-ერთი ასეთი უბანი მდ. გეგას მარცხენა დიდი შენაკადის, მდ. იუფშარას მიდამოებშია. ამ მონაკვეთზე მდინარეების ლაშიფსესა და ავადპარას აუზებში მრავალი ზვავშემკრებია. 1953 წლის ოებერვალში გუდაუთის რაიონში, კურორტ ავადპარაში ზვავების შედეგად დაინგრა ორი საცხოვრებელი სახლი და დაიღუპა ორი ადამიანი.

მეორე გამორჩეულად ზვავსაშიში მონაკვეთი მდ. ბზიფის მარჯვენა შენაკადის მდ. ბავიუს სათავიდან მდ.ბაულის შესართავამდეა. თოვლის სიმაღლე, მს ფსხუსა და თოვლის მარშრუტული აგეგმვის მასალების მიხედვით 530 სმ-ს აღწევს. ფერდობების დახრილობა (17-50°) და უხვი ნალექები ხელს უწყობენ ზვავების ჩამოსვლას. ამ მონაკვეთში 26 ზვავშემკრებია.

მესამე მონაკვეთი ბზიფის ქედის ჩრდილო ფერდობებზეა, იგი მოიცავს სოფ. სერებრიანოესა და მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირს მდ. ბავიუსთან შეერთების ადგილამდე. ამ მონაკვეთზე ადგილი აქვს სისტემატური ზვავების ჩამოსვლას.

მეოთხე მონაკვეთი ეს კოდორის ანუ როგორც ადგილობრივები უწოდებენ დალის ხეობაა ე.წ. აფხაზეთის სვანეთი. მდ. კოდორის აუზის მთიანი ნაწილისა და საავტომობილო გზის ხაიში-ჭუბერი-საკენის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავწარმომქმნელი ფაქტორები (რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზვავების წარმოქმნისა და ზვავშემკრების გავრცელებისათვის.

მდ. კოდორის აუზი, ენგურის აუზთან შედარებით (61), არ გამოირჩევა ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების დიდი რაოდენობით. აქ მათი რაოდენობა 11-ია. კოდორის ხეობაში ზვავების ჩამოსვლას ადამიანთა მსხვერპლი არ გამოუწევია. თერთმეტი ზვავსაშიში დასახლებული პუნქტიდან ოთხში (ხეწყვარა, ხუტია, გვანდრა და სგიმარი) ზვავებმა სხვადასხვა წლებში საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების ნგრევა და დაზიანება გამოიწვია. თერთმეტიდან შვიდ დასახლებულ პუნქტში, როგორც ზვავწარმომქმნელი ფაქტორების, ასევე თეორიული მეთოდების გამოყენებით ჩატარებული გამოთვლების ანალიზმა გვიჩვენა, დიდია ზვავების ჩამოსვლის ალბათობა, და ეს პუნქტები პოტენციურად ზვავსაშიშად მიგვაჩნია.

2008 წლამდე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო ხაიში-ჭუბერი-საკენის 50 კმ-ის სიგრძის საავტომობილო გზა, სადაც 103 ზვავშემკრებია. ეს გზა სოფ. ხაიშში იწყება, მიუყვება მდ. ენგურის ხეობას, გადადის მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადის მდ. ნენსკრის (ჭუბრულას) ხეობაში, შემდეგ მიუყვება მდ. ნენსკრის მარჯვენა შენაკადის, მდ.დარჩი-ორმელეთის ხეობას, გადაკვეთს კოდორის ქედს ზღვის დონიდან 2126 მ-ზე მდებარე ჭუბერის უდელტებილზე, ჩაუყვება მდ. საკენის მარცხენა ფერდობს და მთავრდება სოფ. საკენში. საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართო გავრცელებით ხასიათდება ზვავები, რომელთა დარტყმის მაქსიმალური ძალა 25-დან 100 ტ/მ²-მდე იცვლება, ყველაზე მეტად სჭარბობს 26-დან 50 ტ/მ² მაქსიმალური დარტყმის ძალის მქონე ზვავები, რომლებიც 42% შეადგენს. ყველაზე დიდი დარტყმის ძალა 129 ტ/მ² აქვს მდ. ენგურის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებს. ამ მაგისტრალზე ზვავის კონუსის მოცულობა იცვლება 1200 მ³-დან 2050800 მ³-მდე. ეს გზა თოვლის საფარისა და ზვავების გამო 5-6 თვის განმავლობაში იკუტებოდა. იმისათვის, რომ შემცირებულიყო ზვავსაშიშროების გამო მოძრაობის აკრძალვა, 2007-2008 წწ. ზამთარში ერთობლივი ღონისძიება

ჩატარდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს სტიქიური ჰიდრომეტოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და მოსალოდნელი შედეგების შერჩილების სამართველოს თანამშრომლები ჰიდრომეტოროლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად თანამშრომლობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. სამართველო ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის მიდებარე ტერიტორიაზე გახსნილი სამი მეტეოროლოგიური პოსტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გასცემდა პროგნოზს ზვავსაშიში პერიოდის დადგომის ან დამთავრების შესახებ; საავტომობილო გზების დეპარტამენტი ზვავსაშიშროების პროგნოზის გაცემისთანავე აჩერებდა გზაზე მოძრაობას, ხოლო ზვავსაშიშროების დამთავრებისთანავე იწყებდა გზების გაწმენდას ზვავის კონუსებისა და თოვლისაგან. ამ ღონისძიების შედეგად, გზის გადაკეტვის ვაღები, ნაცვლად 180 დღისა სამჯერ შემცირდა. აკრძალული მოძრაობის ხანგრძლივობის საათების ჯამმა 54 დღე შეადგინა.

მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შერეული და წიწვოვანი ხშირი, მოზრდილი ტყით დაფარული ფერდობებიდან ზვავების ჩამოსვლა არ ხდება. ადნიშნული ცხადყოფს, რომ მოზრდილი ტყე სამედო ზვავსაშინააღმდეგო ღონისძიებაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებოთ კოდორის (დალის) ხეობის იმ მონაკვეთზე, რომელიც ენგურის აუზში მდებარეობს, რადგან ხუდონპესის აშენების შემთხვევაში ზუგდიდი-მესტიის მაგისტრალის ნაწილი სწორედ ამ ტერიტორიაზე გავა. მდ.ნენსკრის და დარჩი-ორმელეთის აუზებში ტყის მასიური ჭრა, ინგირის ქადალდის კომბინატის ნედლეულით უზრუნველსაყოფად, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ციცაბო ფერდობებზე ტყის განადგურებამ მრავალი ახალი ზვავის კერის წარმოქმნა გამოიწვია, რომლებიც საავტომობილო გზაზე აფერხებდნენ მოძრაობას. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ტყის ჭრა შეწყდა. გაჩეხილი ტყის ადგილს ახალი მოზარდი ტყე “ითვისებს”. თუ შენარჩუნებული იქნება გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტყის საფარი, საშიში ზვავშემკრებების რაოდენობა არ გაიზრდება და შესაბამისად გზის ზვავსაშიშროებაც მნიშვნელოვნად შემცირდება.

4.2. მდ. ენგურის აუზის ზვავსაშიშროება

მდ. ენგურის აუზი, თავისი შენაკადებით, ნაკრა, დოლრა, ნენსკრა, ხაიშურა. მულხურა, გურისწყალი ანუ ზემო სვანეთი, ზვავსაშიშროების ოვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია. 135 დასახლებული პუნქტიდან 61 ზვავსაშიშია. სვანეთის ტერიტორიის საერთო ფართობის 95%-ზე ზედაპირის დახრილობა 15⁰-ს აღემატება, ხოლო თოვლის რაოდენობა საშუალოოფლიან ზამთარშიც კი მეტია კრიტიკულ მნიშვნელობაზე. მყარი ნალექების წლიური რაოდენობა იცვლება 300-400 მმ-დან 1100- 1200 მმ-დან. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 100 სმ-დან 575 სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სმაღლის მაქსიმალურმა ნამატმა ხაიშში 175 სმ (21-29.01.1987 წ.), ლახამში -220 სმ (27-29.01.1987 წ.), ნაკში - 290 სმ (26.12.1986-9.01.1987 წ.), ლახამულაში -246 სმ (28-31.01.1987 წ.), მესტიაში -170 სმ (27.01. - 4.02.1987 წ.) შეადგინა. ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 96%, ხოლო მთლიანად ზვავსაშიშია 41%. (ცხრ. 4.2.1).

**ცხრილი 4.2.1. ზემო სვანეთის ზვავსაშიში და არაზვავსაშიში
ტერიტორია**

Nº	ტერიტორიის ზვავაქტიურობა	F, %	ზვავსაშიში, %	არაზვავსაშიში, %
1	0	2	0	4
2	<20	25	23	21
3	20-40	20	6	14
4	40-60	21	10	10
5	>60	32	2	10
ჯამი			41	59


არსებული ტყის საფარის განადგურების შემთხვევაში ზვავების გავრცელების ტერიტორია 33%-ით მოიმატებს და არა მხოლოდ უხვოვლიან, არამედ საშუალოთოვლიან ზამთრებშიც კი ზემო სვანეთის მთლიანი ფართობის 74% ზვავების მოქმედების არეში მოექცევა (ცხრ. 4.2.2).

**ცხრილი 4.2.2. ზემო სვანეთის ზვავსაშიში და არაზვავსაშიში
ტერიტორია (ტყის გაჩეხვის შემთხვევაში)**

Nº	ტერიტორიის ზვავაქტიურობა	F, %	ზვავსაშიში, %	არაზვავსაშიში, %
1	0	2	0	4
2	<20	25	19	5
3	20-40	20	16	4
4	40-60	21	17	4
5	>60	32	22	10
ჯამი			74	26

წლების მანძილზე, სვანეთში ზვავების შედეგად 173 ადამიანი დაიღუპა, თუ ამას დაგუმატებთ 2014 წლის 6 მარტს ზაგაროს მთაზე (უშაული-ლენტების გადასასვლელი) დაღუპულ ფრანგ და გერმანელ ექსტრემალების, მაშინ მათი რაოდენობა 177-ია. დაინგრა 99 საცხოვრებელი სახლი და 113 დამხმარე ნაგებობა, ზვავები დიდ ტერიტორიაზე ანადგურებდა ტყეს, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს. (სურ 4.2.1 - 4.2.4). მაგალითად, 1987 წლის იანვარში სოფ. უამუშში ჩამოსულმა ზვავმა 26 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და საცხოვრებელი სახლები დაანგრია (სურ.4.2.3). ეს სისტემატური ზვავი ამ სოფელთან ყოველწლიურად, ზოგჯერ კი ერთ ზამთარში რამოდენიმეჯერაც ჩამოდიოდა და სოფლიდან რამდენიმე ასეული მ-ის მანძილზე ჩერდებოდა. იმ ზამთარს კი თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ (269 სმ) მანამდე აღრიცხული მაქსიმალური სიმაღლის (150 სმ) 197% შეადგინა. სწორედ თოვლის ასეთი დიდი რაოდენობა გახდა იმის მიზეზი, რომ ზვავმა რამდენიმე ასეული მეტრით მეტი მანძილი გაიარა და სოფლის მოსახლეობას დიდი უბედურება მოუტანა.

ზემო სვანეთში (მესტიის რაიონი) დასახლებულ პუნქტებს 120 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი ემუქრება. ზვავშემკრებების 72% ტყის ზედა ბუნებრივი საზღვრის ქვემოთ იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ ტყე, რომ არ გაჩეხილიყო, დასახლებული პუნქტებისათვის საშიშ 86 ზვავშემკრებში ზვავი არ წარმოიქმნებოდა და თავიდან ავიცილებდით ადამიანთა მსხვერპლს და დიდ მატერიალურ ზარალს, ამიტომ სვანეთის პირობებში ერთ-ერთ ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებად სოფლების ზედა მხარეზე მდებარე ტყის დაცვა მიღვაჩნია [2,3,9].



სურ. 4.2.1 - 4.2.4 ზემო სვანეთის ტერიტორიაზე ზვავების მოქმედების შედეგი

ჯვარი - მესტიის საავტომობილო გზის სკორმეთი-ჯორჯალის მონაკვეთზე ზვავები 46 ზვავის კერიდან ჩამოდის; აქედან 34 ზვავის კერა მდ. ენგურის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს, 8 - დარჩი-ორმელეთის მარჯვენა, 6 - მის მარცხენა ფერდობებზე.

ჩოლური - მესტიის მიმართულებით შეიმჩნევა ზვავების ჩამოსვლა 107 ზვავის კერიდან. აქედან 15 ზვავშემკრები მდ. მუხრას (მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) აუზში, 9 - მდ გურისწყლის (მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი) აუზში, 57 - მდ. ენგურის აუზში, ხოლო 26 - მდ. მულხურას (მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი) აუზშია. ე.ი 15 ზვავშემკრები - მდ. ცხენისწყლის, ხოლო 92 - მდ ენგურია აუზში მდებარეობს.

მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) ხეობაში მდებარე ჭუბერის თემის ათ სოფელში (დევრა, ზემო მარლი, ლარილარი, ლახამი, ლეკელმახე, ლეჭფერი, სგურიში, ტიტა, ქვემო მარლი, ყარი) კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის ზამთრებში (1976 და 1987 წწ. იანვარი) დიდ მატერიალურ ზარალთან ერთად დიდი იყო აღამიანთა მსხვერპლი (54 ადამიანი).

ხეობის თითქმის ყველა ზვავი, რომელთა რაოდენობა 76 შეადგენს, სპორადულია. ე.ი. თოვლიანობის თავისებურებათა გამო ზვავის ჩამოსვლა ყოველწლიურად არ ხდება, არამედ მხოლოდ უხვოვლიან ზამთარში, ხოლო ექსტრემალურ ზამთარში - ზოგიერთი ზვავის კერიდან ზვავი რამოდენიმეჯერაც კი

ჩამოდის, ამის მაგალითია სოფ. ლარილარი (მესტიის რაიონი, ჭუბერი), როდესაც 1976 წლის 14 იანვარს ერთი და იმავე ზვაგშემკრებიდან 10 საათის განმავლობაში ზვავი სამჯერ ჩამოვიდა.

ზვავის კერათა უმეტესობა ტყის ზონაში მდებარეობს და მათი ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია საშუალო და მცირე სიხშირის შერეული ტყით. რც ერთი ზვავი არ ჩამოდის ხშირი შერეული ან წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობიდან. იმისათვის რომ არ გაიზარდოს ზვავის კერების რაოდენობა აუცილებელია:

1. არსებული ტყის საფარის შენარჩუნება;
2. ზვავის კერების შემცირება შესაძლებელია მათი ზედაპირის გატყიანებით.

ზვავსაშიში ფერდობების გატყიანება და ბუნებრივ საზღვარში ტყის საფარის აღდგენა ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა [23].

ცალკეული ზვავის კერა ხასიათდება ძნელადმისასვლელი კლდოვანი ფერდობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ციცაბო ფერდობზე საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება გამოიწვევს ეროზიის გაძლიერებას და ზვავის ახალი კერების გაჩენას.

ჯვარი-მესტიის გზის სკორმეთი-ჯორკვალის მონაკვეთზე 7-8 ისეთი ზვავის კერა, რომელიც არ ხასიათდება დიდი სიმძლავრით და ზვავი ჩამოდის რელიეფში კარგად გამოკვეთილ ვიწრო დარტაფში. გზის ამ მონაკვეთზე 350-400 მ-ის ჯამური სიგრძის ზვავსაწინააღმდეგო გალერეიის აშენებაა რეკომენდირებული.

მაღალი ძაბვის იმ ანძების ზვავებისაგან დასაცავად, რომლებიც ჩოლურ-მესტიის ტრასის გასწვრივ მდებარეობენ, სასურველია ზვავის მიმართულების შემცვლელი (ძირითადად რკინაბეტონის კედელი) ან გამყოფი (ზვავისმჭრელი) საინჟინრო ნაგებობის გამოყენება.

რაც შეეხება მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) ხეობის ზვავსაშიშროებას, აქ თითქმის ყველა ზვავის კერა ტყის ზონაში მდებარეობს და მათი ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი ფოთლოვანი ტყით არის დაფარული. არც ერთი ზვავი არ ჩამოდის ფერდობიდან, რომელიც ხშირი შერეული ან ფოთლოვანი ტყით არის დაფარული.

ამრიგად, ფერდობების ადგილობრივი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის ტყით განაშენიანება და არსებული ტყის საფარის შენარჩუნება ზვავებისაგან დაცვის სამედო საშუალებაა.


4.3. მდ. რიონის აუზის ზვავსაშიშროება

მდ. რიონის შენაკადების - მდინარეების ტეხურის, ცხენისწყლის, ჭანჭახის, ჯოჯორას და ყვირილას ხეობაში 130 ზვაგშემკრებია და საშუალომთიან და მაღალმთიან რაიონებში არა ერთი ზვავის ჩამოსვლაა დაფიქსირებული, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, იწვევდნენ ნგრევას, სხვადასხვა კომუნიკაციების დაზიანებას, ადამიანთა მსხვერპლს.

ზვავსაშიშროებით გამოირჩევა მდ. ტეხურის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) სათავიდან მდ. ლეჩეხას შესართავამდე მონაკვეთი, რომელიც გამოირჩევა ზვავის ჩამოსვლისათვის აუცილებელი ფერდობების დახრილობითა და ნალექების სიუხვით. ცალკეულ წლებში კურორტ ლებარდეს ტერიტორიაზე მდებარე ზვაგშემკრებიდან, რომელსაც “ზვავის ღელებ” უწოდებენ ჩამოსული ზვავის მოცულობა მილიონ მ³-ს აჭარბებდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, “ზვავისღელის” ძირში, საკურორტო შენობის აგება დაიგეგმა. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა (ვ. ცომაიამ, კაბდუშელიშვილმა, ლ. ქალდანმა) შეისწავლეს კურორტ ლებარდეს ზვავსაშიშროება და შეიმუშავეს მისი ზვავებისაგან დაცვის ღონისძიებები,

რომელიც ითვალისწინებდა “ზვავისდელის” ზვავის დამშლელ. დამამუხრუჭებელ და საკურორტო შენობამდე გამაჩერებელ ნაგებობათა კომპლექსის აშენებით კურორტ ლებარდეს დაცვას [25]. სამწუხაროდ დამპროექტებლებმა და მშენებლებმა არ გაითვალისწინეს მკვლევარების მიერ შედგენილი დასკვნა და გააგრძელეს მშენებლობა, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა. ზვავის ჩამოსვლის შედეგად დაინგრა როგორც აშენებული, ისე მშენებარე საკურორტო შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი (4.3.2).



სურ.4.3.1 - 4.3.2 ლენტესა და კურორტ ლებარდეში ზვავებისაგან მიყენებული ზარალი

ეს მაგალითი ადასტურებს, რომ მთიანი რეგიონების ათვისებისას აუცილებელია ზვავსაშიშროების გათვალისწინება.

მდ.რიონის ერთ-ერთი დიდი შენაკადის მდ ცხენისწყლის ხეობაში 34 დასახლებული პუნქტია ზვავსაშიში. ლეუშერში, თეკალში, ლაგურკაში, ცანაში, ზესხოში, რცხმელურში, საჩქში, ლენტებში, ცხუმალდში, ცალკეულ წლებში ზვავებმა ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია (სურ. 4.3.1). ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზვავშემკრები მდებარეობს. ცხენისწყლის აუზის სოფ. თეკალთან ჩამოსული ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 67 მ/წმ-მდეა, ხოლო ზვავის დარტყმის ძალა - 206 ტ/მ²-ზე.

მდ. ცხენისწყლის შენაკადების ზესხოსა და ყორულდაშის ხეობები გამოირჩევა რელიეფის დიდი დანაწევრებით. ნალექების რაოდენობა 1100-1300 მმ-დეა, თოვლის საფარის სიმაღლე 177 სმ-დან 290 სმ-დე მერყეობს. 100 სმ-ზე მეტი თოვლის საფარის სიმაღლის ზამთრების განმეორადობა აღემატება 96%-ს, ხოლო 200 სმ-ზე მეტი სიმაღლით - 26%-ს. ეს ცხადია ხელს უწყობს ამ რაიონში სისტემატური ზვავების გავრცელებას.

მდ. ჭანჭახი მდ. რიონის მარცხენა შენაკადია. ამ მდინარის აუზში, მსგავსად მდ. რიონის სათავეებისა, რელიეფი დიდი დანაწევრებით გამოირჩევა. მამისონის უდელტეხილისა და შოვის მრავალწლიური მეტეოროლოგიური მასალებით ირკვევა, რომ ნალექების რაოდენობა 570-720 მმ - ია. მარშრუტული თოვლის აგეგმვის მასალების მიხედვით თუ გიმსჯელებთ 1500-2700 მ-ის სიმაღლეზე თოვლის საფარის სიმაღლე 1,5-2,8 მ-დე იცვლება. მდ. რიონის აუზის

ამ მონაკვეთში, უხვოვლიან ზამთრებში ტყის მასივები ზვავების შედეგად ნადგურდება.

მდ. ჯოჯორას აუზის (მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადი) მაღალმთიან ნაწილში მრავალი ზვავშემკრებია. ცალკეულ უხვოვლიან ზამთრებში ადგილი აქვს კატასტროფული ზვავების ჩამოსვლას. ასე მაგალითად, 1932 წლის ოქტომბერში ზვავმა მოლიანად გაანადგურა სოფელი არაშენდა, დაიღუპა 112 ადამიანი, დაინგრა 27 საცხოვრებელი სახლი.

მდ. ყვირილას (მდ.რიონის მარცხენა შენაკადი) სათავეებში ზვავები აუზის ზემო ნაწილში 1500 მ-ზე მაღლა ფიქსირდება. ზოგადად ეს აუზი ხასიათდება ნაკლები ზვავაქტიურობით და რაიმე კატასტროფული მოვლენა ამ ტერიტორიაზე არ დაფიქსირდებულა.

4.4. გურიის მთიანი ნაწილისა და კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება

გურიის მთიანი ნაწილი საკმაოდ დიდი ზვავსაშიშროებით გამოირჩევა; ხშირია ზვავების შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალიც, მაგალითად 1975-78 წწ. ზამთარში ზვავებმა დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები სოფ. ზემო სურებსა და ზოტში; 1958-59 წწ. ზამთარში სოფ. ნაბედლავში, ჩხაკაურასა და ქვაბდაში. 1970-71 წწ. ზამთარში ზვავების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, დაინგრა 6 საცხოვრებელი სახლი დამხმარე ნაგებობებით, გაწყდა მსხვილფეხა საქონელი, განადგურდა საგარეულები. ზვავებმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს კურორტ ბახმაროს 1963-64 წწ., 1970-71 წწ., 1986-87 წწ., 2000-2001 წწ., და 2006-2007 წწ.

მდინარეების სუფსის, გუბაზეულის, ბახვისწყლისა და მისი შენაკადების აუზების მთიან ნაწილში დიდია ზედაპირის როგორც ვერტიკალური, ისე პორიზონტალური დანაწევრება, დანაწევრების სიღრმე საშუალომთიან ზონაში 200-500 მ-ია, ხოლო მაღალმთიანში 300-600 მ. ფერდობების დახრილობა, ძირითადად, 15-35° –ია. მეჩხერტყიანი და უტყეო ციცაბო ფერდობებიც ხშირად გვხვდება. ყარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა 1100-1200 მმ-ია, ხოლო მინიმალური – მეტია 300 მმ-ზე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე დაბალმთიან ზონაში 200-400 სმ-ია, ხოლო საშუალომთიან ზონაში - 400-610 სმ; 1900-2000 მ-ზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 600-700 სმ, საშუალო სიმაღლე -290-300 სმ, ხოლო მინიმალური სიმაღლე – 110-120 სმ. ს ბახმაროს მონაცემებით, ერთი თოვლის დროს თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალურმა ნამატება 315 სმ შეადგინა, ხოლო მაქსიმალურმა დღე-დღიამურმა ნამატება -139 სმ.

გურიაში ზვავსაშიშია ცალკეული დასახლებული პუნქტები: ზემო სურები, ქვაბდა, ზოტი, ჩხაკაურა, კურორტი ბახმარო, ნაბედლავი. ზვავსაშიშროებით განსაკუთრებით გამოირჩევა ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზა [11,12].

ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზა მდ. გუბაზეულს სოფ. ხევიდან სოფ. ქვაბდამდე მიუყვება, შემდეგ მდ. ჩხაკაურას (მდ. გუბაზეულის მარცხენა შენაკადი). საავტომობილო გზა მოიცავს მდ. საშვალას ხეობის საშუალო და მაღალმთიან ნაწილს, გზის ბოლო მონაკვეთი კი მდ. ბახვისწყლის ხეობაშია.

საავტომობილო გზის მიდამოებში 67 ზვავის ჩამოსვლა მოსალოდნელი, მათ შორის 22 ზვავშემკრები მდ. გუბაზეულის, 24 - მდ. ჩხაკაურას, 16 - მდ. საშვალას, ხოლო 3 - მდ. ბახვისწყლის ხეობაში მდებარეობს. ზვავშემკრებების უმეტესობა, დაახლოებით 70% ტყის ბუნებრივი, ზედა საზღვრის ქვემოთ იწყება. იმ ფერდობებზე, სადაც ბუნებრივი ტყე გაჩეხილი ან გამეჩერებულია აუცილებელია არსებული ტყის საფარის შენარჩუნება, ხოლო ზვავშემკრებების რაოდენობის შესამცირებლად – უტყეო და მეჩხერტყიანი ფერდობების გატყიანება. გურიაში შედარებით ფართოდ არის გავრცელებული ზვავის კერები, რომელთა ფართობი 0,5

ჰა-ზე ნაკლებია, ხოლო ზედაპირის დახრილობა 26-30⁰-ს შეადგენს, სჭარბობს 21-30 მ/წმ მაქსიმალური სიჩქარის და 26-50 ტ/ტ²-ის მაქსიმალური დარტყმის ძალის მქონე ზვავები (ცხრ. 4.4.1).

ცხრილი 4.4.1. ზვავების განაწილება მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის მიხედვით

მაქსიმალური სიჩქარე		მაქსიმალური დარტყმის ძალა	
მ/წმ	% საერთო რ-დან	ტ/ტ ²	% საერთო რ-დან
<20	29	<25	49
21 -30	47	26 - 50	38
31 -40	22	51 -75	11
>40	2	>75	2

საავტომობილო გზის ერთადერთ დამცველ დონისძიებად შეიძლება ისეთი საინჟინრო ნაგებობა ჩაითვალოს, რომელიც ზვავს დასაცავ ობიექტზე გადაატარებს. ასეთ ნაგებობას გალერეა წარმოადგენს, რომელიც საავტომობილო გზაზე მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ზვავსაწინააღმდეგო გალერეის დაპროექტებისათვის აუცილებელია ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენა. ზვავსაწინააღმდეგო გალერეის კონსტრუქცია, სიგრძე, სიგანე და სხვა მახასიათებლები უშუალოდ მშენებლობის აღილის მიკრორელიეფის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ დაბალმოთიან რაიონებში ზვავების წარმოქმნისათვის საკმარისი თოვლი (კრიტიკულ სიმაღლეზე მეტი) 5-10 წელიწადში ერთხელ მოდის. ამას ადასტურებს სხვადასხვა წლებში ჩამოსულ ზვავებზე არსებული საარქივო და სავალე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალები. გალერეების მშენებლობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ხშირად გარკვეულ ეკოლოგიურ ცვლილებებსაც იწვევს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბალმოთიან რაიონებში გალერეების მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის.

საშუალომოთიან რაიონებში, სადაც ზვავები თითქმის ყოველწლიურად ჩამოდის, საავტომობილო გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოზანშეწონილია გალერეების აშენება.

მაღალმოთიან რაიონებში მდებარე ზვავის კერძიდან ზვავი ყოველწლიურად ჩამოდის, ხოლო უხვოვლიან ზამთარში - რამოდენიმეჯერ.

რელიეფის დანაწევრება, აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, უტევო და მეჩხერტყიანი ციცაბო ფერდობების გავრცელება, რომელი კლიმატური პირობები, კერძოდ ცივი პერიოდის ხანგრძლივობა, უხვოვლიანობა განაპირობებენ კურორტ ბახმაროში ზვავების ფართო გავრცელებას.

კურორტის მიდამოებში ზვავები 32 ზვავის კერძიდან ჩამოდის. აქ არსებული ზვავის კერების თითქმის ნახევარი ტყის ბუნებრივი ზედა საზღვრის ქვემოთ (2100 - 2200 მ. ზღვის დონიდან) იწყება იმ ფერდობებზე, სადაც ბუნებრივი ტყები ან გამეჩხერებულია. ხშირი წიწვოვანი ან შერული ტყის არსებობის შემთხვევაში ზვავების წარმოქმნა არ მოხდებოდა.

ტყის ზედა ბუნებრივი საზღვრის ქვემოთ მდებარე ზვავშემკრებების არსებული რაოდენობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ფერდობებზე ამჟამად არსებული ტყის საფარის შენარჩუნება, ხოლო ზვავშემკრებების რაოდენობის შესამცირებლად - უტევო, მეჩხერტყიანი ფერდობების გატყიანება; უნდა მოხდეს ტყის საფარის აღდგენა ბუნებრივ ზედა საზღვრამდე.

ზვავსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების დაპროექტებისათვის აუცილებელია ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების გამოთვლა. ძვირადღირებული ზვავსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების

აშენების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ახალი ობიექტების არაზღავსაშიშ ზონაში აგება.

კურორტ ბახმაროს ზამთრის პერიოდში ფუნქციონირების შემთხვევაში აუცილებლია ბახმაროს ყოფილი მეტეოროლოგიური სადგურის ბაზაზე თოვლ-საზღვე სადგურის გახსნა, რომელიც როგორც ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზას, ასევე კურორტ ბახმაროსაც გაუწევს ოპერატიულ მომსახურებას ზვავსაშიშროების პროგნოზით. დროულად გაცემული ზვავსაშიშროების პროგნოზი კი უზრუნველყოფს როგორც ტრანსპორტის მოძრაობას, ისე დამსვენებელთა, განსაკუთრებით სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთა უსაფრთხოებას ზვავის მოსალოდნელი ჩამოსვლის პერიოდში.

4.5. აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიშროება

ზვავსაშიში ტერიტორიის გამოკვლევით თოვლის ზვავების კადასტრის შედგენისას [17-19], აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა 87 ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი, რომელთა ცალკეული უბანი ან ნაგებობა ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს. მოსახლეობას საფრთხეს 161 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი უქმნის.

ზვავების მაქსიმალური დარტყმის ძალა მერყეობს $8 \text{ } \mathcal{G}/\text{m}^2$ -დან (მდ.დორჯომის ხეობა) 156 G/m^2 -დან (მდ.ნაღვარევისწყლის ხეობა), კონუსის მაქსიმალური მოცულობა - 1500 m^3 -დან (მდ.დორჯომის ხეობა) 80800 m^3 -დან (მდ.კინგრიშის ხეობა), ხოლო ზვავის სიმაღლე 17 მ-დან (მდინარეების ჩაქვისწყლის, აჭარისწყლის და სხალთის ხეობები) 37 მ-დან (მდ. ნაღვარევისწყლის, ვანისწყლის და აჭარისწყლის ხეობები) იცვლება (ცხრ.4.5.1).

ზვავსაშიშია აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ხუთივე რაიონის ცალკეული პუნქტი ან მისი ნაწილი. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები შედარებით ცოტაა დაბალმთიან ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონებში (4 და 3 შესაბამისად); ქედის რაიონში ზვავსაშიშია 14, შუახევის რაიონში - 21, ხოლო ხულოს რაიონში კი აჭარაში მდებარე ზვავსაშიში პუნქტების ნახევარზე მეტი - 45. [10].

87 ზვავსაშიშ დასახლებული პუნქტიდან 14-ში (საერთო რაოდენობის 16%) ზვავების ჩამოსვლამ ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია, 32 -ში (37%) - ნგრევა, 27-ში (31%) - დაზიანება, 14 დასახლებული პუნქტი (16%) პოტენციურად ზვავსაშიშია. გამოთვლებმა და ზვავშარმომქმნელი ფაქტორების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქმაოდ დიდია ამ პუნქტებში ზვავების ჩამოსვლის ალბათობა [10].

დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 450 მ-დან (მდ. ჩაქვისთავის ხეობა) 2465 მ-დან (მდ. ტბეთის ხეობა), დასასრულის სიმაღლე 200 მ-დან (მდ.აჭარისწყლის ხეობა) 1480 მ-დან (მდ.დიაკონიძეების ხეობა), უგრძესია (3995 მ) მდ ნაღვარევისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრები, ხოლო უმოკლესი (230 მ) - მდ. აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრები (ცხრ.4.5.1).

აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაწინააღმდეგო პასიური ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მიზანშეწონილია სამი, ხოლო აუცილებელია ორი თოვლ-საზღვე სადგურის ფუნქციონირება. ამ სადგურებიდან ერთი უნდა მდებარეობდეს აჭარის ტერიტორიის დასავლეთ, ხოლო მეორე - აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ან საშუალომთიან ზონაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალისტებით, ტექნიკითა და სათანადო პირობებით.

**ცხრილი 4.5.1. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის,
კონუსის მოცულობისა და სიმაღლის მიხედვით**

დარტყმის ძალა		კონუსის მოცულობა		სიმაღლე	
ტ/ტ ²	% საერთო რ-დან	ათასი ტ ³	% საერთო რ-დან	მეტრი	% საერთო რ-დან
<30	33	<5	29	<20	9
31-40	22	5,1-10	33	21-25	46
41-50	15	10,1-20	19	26-30	27
51-60	11	20,1-50	8	31-35	14
61-80	12	50,1-100	5	>35	4
>80	7	>100	6		

ზვავის კერაში ჩასატარებელი აქტიური ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებებიდან, მაგალითად ზვავის გამოწვევა აფეთქების გზით ან თოვლის სტაბილიზაცია ადგილზე, როგორიცაა საინჟინრო ნაგებობის აშენება, ფერდობების დატერასება და სხვა, აჭარის ტერიტორიაზე მიზანშეწონილი არ არის, რადგან ზვავის კერაში აფეთქება, საინჟინრო ნაგებობის აშენება, ფერდობის დატერასება, გამოიწვევს ფერდობების დეფორმაციას, ზედაპირის მცენარეული საფარისაგან გაშიშვლებას. აჭარა განსაკუთრებით უხვოოვლიან რაიონს წარმოადგენს, ხასიათდება ნალექების სიუხვით; ციცაბო, მცენარეული საფარისაგან თავისუფალი ფერდობი ჭარბ ნალექებთან ერთად კიდევ უფრო გააქტიურებს ისედაც არსებულ ეროზიულ პროცესებს, რაც გამოიწვევს როგორც არსებული ზვავის კერის ფართობის გადიდებას, ასევე ხელს შეუწყობს ახალი ზვავის კერების წარმოქმნას.

აჭარაში ზვავსაშიში ტერიტორიის სიდიდე დამოკიდებულია ტყის საფარის არსებობაზე. რესპუბლიკის 18%-ი აბსოლუტურად არაზაგსაშიშია, ხოლო დანარჩენ 82%-ზე ცალკეული ფერდობებია ზვავსაშიში და მათი ჯამური ფართობი შეადგენს 500 კმ²-ს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობები მთლიანად არის ათვისებული, გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვითაც, ხდება ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისება. ხშირად ხდება ზვავაქტიურ ფერდობებზე ტყის გაჩეხვა, რაც ახალი ზვავის კერების გაჩეხნას უწყობს ხელს. მოსახლეობას საფრთხეს შეუქმნის არა მარტო არსებული ზვავშემკრებები, არამედ ახლად წარმოქმნილი ზვავშემკრებებიც.

აჭარის ტერიტორიაზე რომ არ გაიზარდოს ზვავსაშიში ტერიტორიის ფართობი, აუცილებელია არსებული ტყის საფარის მოვლა-პატრონობა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე, 15⁰-ზე მეტი დახრილობის მქონე, ფერდობებზე ტყის გაჩეხვის აკრძალვა.

აჭარის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საშიში ზვავშემკრებების უდიდესი ნაწილის გატყიანება შესაძლებელია შედარებით მცირე ხარჯებით. ზვავის კერაში შერეული და წიწვოვანი ტყის საფარის აღდგენა დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების უმეტეს ნაწილს არაზვავსაშიშად გახდეს.

ზვავსადენში ანუ ზვავის ტრანზიტული მოძრაობის ზონაში, აჭარის ტერიტორიაზე, შესაძლებელია სამივე ტიპის საინჟინრო დონისძიების გამოყენება. სავტომობილო გზის დასაცავად მიზანშეწონილია გვირაბისა და გალერეის აშენება. მცირე ნაგებობის, მაგალითად ცალკეული შენობის, მაღალი ძაბვის ბოძის, ანძის დასაცავად შესაძლებელია ზვავისმჭრელის გამოყენება, ხოლო შედარებით დიდ ფართობის ობიექტის, მაგალითად დასახლებული პუნქტის დასაცავად - ზვავის მიმართულების შემცვლელი საინჟინრო ნაგებობის გამოყენება.

აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაწინააღმდეგო დონისძიების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვანო. ზვავის ამცილებელი ნაგებობა თოვლის ზვავის

მიმართულების შესაცვლელადაა გამიზნული. შესაძლებელია ოკინა-ბეტონისაგან ან სხვა მასალისაგან აგებული დამბის, კედლის, ქვაყრილის ან მიწაყრილის გამოყენება, ასევე ზვავის მიმართულების შეცვლა ხელოვნური ზვავსადენის გაყვანითაც შეიძლება. ერთ-ერთ მაგალითად განვიხილავთ სოფ. ღურტას (ხულოს რაიონი), სადაც 1971 წელს ჩამოსულმა ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები და 22 ადამიანი იმსხვერპლა. ეს ზვავი ზღვის დონიდან 1650 მ-ზე იწყებოდა, გზაზე 1300-1400 მ-ის სიმაღლეზე დამრეცი (15⁰) უტყეო მინდორი (სათიბი) მდებარეობდა, სადაც ზვავი იშლებოდა და სოფ. ღურტაში 190-210 მ-ის სიგანით იჭრებოდა. ზვავის გაჩერების ადგილი მდ. აჭარისწყლის ნაპირი იყო 830-850 მ-ის სიმაღლეზე. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ადგილობრივი მიკრორელიეფის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებლების დადგენის საფუძველზე (ცხრ.4.5.2) 1984 წელს შემუშავდა სოფლის დაცვის ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიება, დამრეც ფერდობზე, სადაც ხდებოდა ზვავის გაშლა, აშენდა ზვავის მიმართულების შემცვლელი ორი დამბა. პირველი დამბის დანიშნულება, რომლის სიმაღლე 7 მ, ხოლო სიგრძე 50-55 მ იყო, ზვავის სიჩქარისა და დარტყმის ძალის შემცირება და ნაწილობრივ, მიმართულების შეცვლა იყო, ხოლო მეორე დამბის (სიმაღლე 10 მ, სიგრძე 190-200 მ) დანიშნულება უშუალოდ ზვავის მიმართულების შეცვლას წარმოადგენდა. ამ მეორე დამბის გასწვრივ ხელოვნური ზვავსადენი იქნა გაყვანილი, გარდა ამ ღონისძიებისა, გავითვალისწინეთ, რომ პერიმადარდოს ფერდობზე, სადაც ეს სოფელი არის გაშენებული, აუცილებელი იყო უტყეო მონაკვეთების წიწვოვანი ჯიშის ხეებით გატყიანება და არსებული ტყის გაჩეხვის აკრძალვა. ამ ღონისძიებების შემდეგ სოფლისთვის ზვავს ზარალი არ მიუკენებია.

სოფ. ღურტას ზვავისაგან დასაცვად, ზვავის მიმართულების შესაცვლელი დამბისათვის დაპროექტებისათვის გამოითვალა ზვავის მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებლები.

ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების სრულყოფილად ჩასატარებლად, კერძოდ სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობების ასაგებად, სწორედ ზვავშემკრების დეტალური შენწყლაა საჭირო, და ზვავის მოძრაობის სიჩქარე და დარტყმის ძალა უნდა გამოითვალის არა ერთ, არამედ რამოდენიმე წერტილში, მსგავსად სოფ. ღურტისა.

ზვავების ჩამოსვლა ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს აჭარის კონომიკას, უხვოთვლიან ზამთარში კი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ოუნდაც 2013 წლის 10-12 დეკემბერს ზვავებისა და უხვოთვლიანობის გამო მნიშვნელოვნად დაზიანდა 5 მაღალი ძაბვის ანდა ქედის ცენტრიდან შუახევის ცენტრამდე და ხუთი დღის განმავლობაში ავტონომიის მოსახლოებას, უშუალობის გამო, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. 2014 წლის 10-14 იანვარს ხულოს ცენტრში თოვლის სიმაღლემ 2 მ-ს, ხოლო სოფლებში 3 მ-ს მიაღწია, ხოლო ქედაში 1,5 მ, ხოლო სოფლებში - 2 მ-ს. ზვავები ჩამოვიდა ხულოსა და ქედის რაიონში, სოფ. მაჭახელაში დაიღუპა ერთი ადამიანი.

ცხრილი 4.5.2. სოფ. ღურტას ზვავშემკრების მორფომეტრიული და ზვავის დინამიკური მახასიათებლები

Nº	სიტაციების სტატუსი	სიმაღლის შემცირების მიზანი	სიგრძე ზღვის დანართი	გორიზონტული ასაგებები	ფართ ფართი	ფართ ფართი	სატერიტო ფართი	სატერიტო ფართი	დანართ მასში	სიგრძე განაკვეთი	სიგრძე განაკვეთი	სიგრძე განაკვეთი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
პერიოდული მნიშვნელობის ზვავშემკრები, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი													
1	1650												ზედა საზღვარი
2	1550	100	300	320	300	320	18	3	10	5			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
3	1390	160	450	480	750	800	19		18	15			I ჯებირის ადგილი
4	1375	15	38	40	778	840	21		19	16			ქვედა საზღვარი
5	1350	25	47	55	825	895	28		23	24			
6	1340	10	23	25	848	920	23		24	26			
7	1310	30	137	140	985	1060	12		17	13			
8	1300	10	23	25	1008	1985	23		18	15			
9	1100	200	270	340	1278	1425	36		44	89			მდ. ჯვარისღელე
10	975	125	350	370	1628	1795	19		36	59			სოფ. ლურტას გზა
11	900	75	500	510	2128	2305	8		9	4			
12	875	25	70	75	2198	2380	20		15	10			
13	850	25	90	95	2288	2475	15		15	10			მდ. აჭარისწყლის ნაპირი
14	850	0	50	50	2338	2525	0		0	0	2500	850	მდ. აჭარისწყლის კალაპოტი

ჰელიმადარდოს ზვავშემკრები, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი, სოფ. ლურტას
განშტოება

1	1650												ზვავშემკრების ზედა საზღვარი
2	1550	100	300	320	300	320	18	3	10	5			
3	1390	160	450	480	750	800	19		18	15			I ჯებირის ადგილი
4	1375	15	38	40	778	840	21		19	16			ქვედა სამოვარი
5	1345	30	55	65	843	905	28		24	26			
6	1330	15	43	45	886	950	19		23	24			II ჯებირის ადგილი
7	1305	25	90	95	976	1045	15		21	20			ტყის ზედა საზღვარი
8	1260	45	65	80	1041	1125	35		29	39			ქვედა საზღვარი
9	1220	40	65	75	1106	1200	31		33	50			
10	1190	30	53	60	1159	1260	29		35	56			
11	1150	40	80	90	1239	1350	26		36	59			ორი ხევის შესართავი
12	1125	25	48	55	1282	1405	27		37	63			სათიბის დასაწყისი
13	1080	45	105	110	1392	1515	23		37	63			ზედა გზა
14	1000	80	300	310	1692	1825	15		29	31			შუა გზა
15	900	100	600	610	2192	2435	9		0	0	1225	910	ქვედა გზა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი,
სოფ. ლურტა

1	1575												ზედა საზღვარი
2	1500	75	200	215	200	215	21	1,2	11	5			
3	1360	140	430	460	630	675	18		15	10			
4	1345	15	35	40	665	715	23		17	13			ტყის ქვედა საზღვარი
5	1325	20	25	30	690	745	38		22	22			
6	1320	5	10	15	700	760	27		22	22			
7	1315	5	18	20	718	780	15		21	20			
8	1300	15	33	35	751	815	24		22	22			
9	1270	30	50	60	801	675	31		26	31			ტყის ზედა საზღვარი
10	1255	15	20	25	821	900	37		28	36			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
11	1205	50	88	100	909	1000	29		31	44			
12	1190	15	30	35	939	1035	26		31	44			
13	1150	40	60	70	999	1105	33		34	53			ზვაგშემკრები
14	1125	25	48	55	1047	1160	27		35	56			სათიბის დასაწყისი
15	1080	45	105	110	1152	1270	23		35	56			ზედა გზა
16	1000	80	300	310	1452	1580	15		27	33			შუა გზა
17	900	100	600	610	2052	2190	3		0	0	2100	920	ქვედა გზა

აფთახის ზვაგშემკრები, მდ აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი, სოფ. ლურტა

1	1260												ზედა საზღვარი
2	1220	40	53	65	53	65	37	0,4	11	6			
3	1205	15	38	40	91	105	21		9	4			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
4	1170	35	53	65	144	170	33		16	12			
5	1090	80	112	135	256	305	35		23	24			
6	1077	13	40	45	296	350	18		19	16			ზედა გზა
7	1000	77	280	290	576	640	15		11	5			შუა გზა
8	900	100	600	610	1176	1250	9		0	0	950	950	ქვედა გზა

განვიხილეთ, რა დასავლეთ საქართველოს ზვაგსაშიშროების განმსაზღვრელი გეოგრაფიული პირობები (რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზვაგების წარმოქმნა არ ხდება 15^0 -ზე ნაკლები დახრილობის ფერდობებზე, აგრეთვე ხშირი წიწვოვანი და შერეული ტყით დაფარულ ნებისმიერი დახრილობის ფერდობებზე. ამავე დროს 15^0 -ზე ნაკლები დახრილობის მქონე ტერიტორიას უკავია დასავლეთ საქართველოს მთლიანი ფართობის მეოთხედი. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე აღგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება და მაღალმთიან ზონაში აღწევს 600-700 სმ-ს, თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას - 200-330 სმ-ია, ხოლო დღე-დამური ნამატი - 150-170 სმ-ია.

მრავალწლიური დაკვირვების მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში ზვაგების გავრცელების ქვედა საზღვრის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 40 მ-დან 410 მ-მდე.

ზვაგების საერთო რაოდენობის 80% ახალმოსული თოვლისაგან წარმოიქმნება, ხოლო გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს ჩამოსული ზვაგები - 6%-ს შეადგენს, თოვლის საფარის სუბლიმაციური გადაკრისტალების შედეგად ჩამოსული ზვაგები შეადგენს 4%-ს, ხოლო ქარბუქით გამოწვეული ზვაგები - 2%-ს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (68%) ზვაგსაში ზონაში მდებარეობს. ზვაგსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების (ტერიტორიის ზვაგაქტიურობა, ზვაგშემკრებების სიხშირე, ზვაგების ჩამოსვლის სიხშირე, ზვაგსაში პერიოდის ხანგრძლივობა) მიხედვით შესაძლებელი გახდა გამოგვევლით განსაკუთრებით ძლიერი (დასავლეთ საქართველოს მთლიანი ფართობის 7%), ძლიერი (9%), საშუალო (43%) და სუსტი (9%) ზვაგსაშიშროების რაიონები. დასავლეთ საქართველოში გამოვლენილია 200 -ზე მეტი ზვაგსაში დასახლებული პუნქტი. განსაკუთრებით გამოირჩევა მესტიის (61 დასახლებული პუნქტი), ხულოს (45), ლენტების (34) და შუახევის (21) რაიონები [5-7].

დასავლეთ საქართველოში განსახორციელებელი ზვაგსაწინააღმდეგო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ძლიერი ზვაგსაშიშროების რაიონში კატასტროფული ზვაგების მასიური ჩამოსვლის წლებშიც კი ხშირი წიწვოვანი და შერეული ტყით დაფარულ ფერდობებზე არც ერთი ზვავი არ

წარმოქმნილა. ტყის ბუნებრივი საზღვრის ქვემოთ იწყება მოსახლეობისა და სხვადასხვა ობიექტებისათვის საშიში ზგავშემკრებების 18%. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებული ტყის შენარჩუნება, ზვავსაშიში ფერდობების გატყიანება და ბუნებრივ საზღვრებში ტყის ადგიგენა ზვავის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დონისძიებას წარმოადგენს.

4.6 საქართველოს სამხედრო გზის ზვავსაშიშროება

საქართველოში ზვავების შესწავლა და ზვავსაშიშიაღმდეგო დონისძიებების ჩატარება საქართველოს სამხედრო გზასთან არის დაკავშირებული. 1875 წლიდან, გზის ზვავსაშიშ მონაკვეთებზე, იწყება თოვლშემაკავებელი ტერასების, ქვის ზგავშემაკავებელი კედლების, მიმართულების შემცვლელი დამბების, აგრეთვე გალერეების და გვირაბების მშენებლობა.

საქართველოს სამხედრო გზა ჯვრის უდელტეხილით (2395 მ) კავკასიონის მთავარ ქედზე გადადის და ქ. თბილისს ქ. ვლადიკავკაზთან აკავშირებს. გზის საერთო სიგრძე 163 კმ-ია. გზა მცხეთის რაიონის სოფ. ნატახტართან იწყება, მუხრანის ველის გავლით დაბა უინვალთან მდ. არაგის ვიწრო ხეობას მიუჰვება, სოფ. ზედა მლეთიდან ჯვრის უდელტეხილამდე აღმართია, ხოლო 2395 მ-ის სიმაღლიდან გზა თავდაპირველად მდ. ბიდარას ვიწრო ხეობაში გადადის, შემდეგ მდ. თერგის ნაპირს მიუჰვება, ხილო მდ. ჩხერის შესართავიდან დარიალის ხეობაში გადადის, გველეთის ხიდით გაივლის სოფლის ზემო ლარსს და ჩმისს, ბალთის ვიწრო ხეობას, გადაივლის რამდენიმე ქედა და ქ. ვლადიკავკაზში მთავრდება [1].

გზაზე სამი ძირითადი უინვალი-მლეთა, გუდაური-კობი და ალმასიანი-დარიალის ზვავსაშიში მონაკვეთები გვხვდება. პირველი და მესამე მონაკვეთი სუსტი, ხოლო მეორე მონაკვეთი განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროებით გამოიჩევა.

უინვალი-მლეთის მონაკვეთზე 52 ზვავშემკრებია. ამ მონაკვეთზე ზვავების ჩამოსვლა შესაძლებელია ინტენსიური ნალექების მოსვლის შემთხვევაში (70 მმ-ზე მეტი ნალექი 18 საათში). ზვავების უმეტესობა უხვოვლიან ზამთარში საავტომობილო გზას ფარავს. გამონაკლისია უინვალი-მლეთას მონაკვეთის სამი სპორადული ზვავი, რომელიც ათეულ წელიწადში ერთხელ, ანომალური ზამთრის პირობებში, გამოდის გზაზე. ზვავებისაგან გამოტანილი თოვლის მოცულობა 1,5 დან 4 ათასამდე მ³-ია. მაქსიმალური მოცულობა აღინიშნა განსაკუთრებით უხვოვლიან 1986/87 წ. ზამთარში და 45 ათასი მ³ შეადგინა. ამ მონაკვეთზე დაბა ფასანაურის ტერიტორიაზე 14 ზვავშემკრებია, მათ შორის ყველაზე დიდი ზვავი მთა გურდონის ჩრდილო-აღმოსავლეთით უტყეო ფერდობზე 2050 მ-ზე იწყება. ეს ზვავი ფასანაურის ტერიტორიაზე 1100 მ-ზე ჩერდება. ამ ზვავის დარტყმის ძალა 63 ტ/მ², ხოლო კონუსის მოცულობა 98400 მ³-ს შეადგენს.

ალმასიანი - დარიალის მონაკვეთზე ფიქსირდება 27 ზვავსაშიში კერა, რომლებიც ინტენსიური ნალექების (50 მმ-ზე მეტი 18-36 სთ-ში) მთლიანად კეტავს გზას. ტრასაზე გამოტანილი თოვლის მასის მოცულობა მერყეობს 1.6-დან 8,5 ათასი მ³. წელიწადში საშუალოდ 76 ათასი მ³-ი ოდენობა დაფიქსირდა განსაკუთრებით უხვოვლიან 1986-87 წლის ზამთარში.

გუდაური-კობის მონაკვეთზე ფიქსირდება 59 ზვავშემკრები, აქედან 41 ზვავშემკრებიდან ჩამოსული ზვავი გზაზე გამოდის. ამ მონაკვეთზე არსებული ზვავდამცავი გვირაბები და გალერეა გზის ნაწილს სრულად ან ნაწილობრივ იცავს მხოლოდ 17 ზვავშემკრებიდან ჩამოსული ზვავისაგან.

საკვლევ ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა იზრდება ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად 739 მმ-დან 1733 მმ-დე. წლის ცივ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა წლიური ნორმის 27-37 %-ს შეადგენს, სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება მყარი სახით მოსული ნალექების რაოდენობაც 166

მმ-დან (მს ფასანაური) 680 მმ-მდე (მს ჯვრის უდელტეხილი). ნალექიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება 122 - დან 183 - მდე, ხოლო თოვლიან დღეთა რიცხვი - 36 - დან 82-მდე. ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული თოვლის საფარი, რომლის საშუალო სიმაღლე ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება 37 სმ-დან 156 სმ-მდე. მაქსიმალური სიმაღლე კი 91 სმ-დან 334 სმ-მდე. განსაკუთრებით უხვოვლიან ზამთარში, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე გუდაურში და ჯვრის უდელტეხილზე შესაბამისად 390 და 460 სმ-ს შეადგენს. ასევე მაღალია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას და თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას და შეიძლება მიაღწიოს 210-270 სმ-ს, ხოლო დღედამურმა ნამატმა - 100-120 სმ-ს. თოვლიან დღეთა რიცხვი 800 -1300 მ-ის სიმაღლეზე 50 - დან 95 დღემდეა, 1900-2000 მ-ზე 131-218 დღეს შეადგენს..

საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირია ზვავშემკრებები 0,5 ჰა-ზე ნაკლები ფართობით, ზვავის კურები ზედაპირის 31-35⁰ დახრილობით და ზვავები 31-40 მ/წმ მაქსიმალური სიჩქარით (ცხრ. 4.6.1).

ცხრილი 4.6.1. ზვავშემკრებების განაწილება ფართობის, ზვავის კერვის ზედაპირის დახრილობისა და ზვავების მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით

ფართობი			დახრილობა			მაქს. სიჩქარე		
ჰა	რ-ბა	%	რად.	რ-ბა	%	მ/წმ	რ-ბა	%
<0,5	31	45	<25	6	9	<20	12	17
0,5-1,0	16	23	26-30	15	22	21-30	25	36
1,1-10,0	18	26	31-35	23	33	31-40	26	38
>10	4	6	36-40	15	22	>40	6	9
			>40	10	14			

ყველაზე სუსტი მაქსიმალური დარტყმის ძალა 4 გ/მ², ხოლო ძლიერია - 97გ/მ². ზვავების კონუსის მაქსიმალური მოცულობა მერყეობს 600 მ³-დან 42400 მ³-მდე, ხოლო მოძრავი ზვავის სიმაღლე 7,3 მ-დან 26,1 მ-მდე (ცხრ.4.6.2).

საკვლევ ტერიტორიაზე შედარებით დიდ გავრცელებით ხასიათდება ზვავები, რომელთა მაქსიმალური დარტყმის ძალა არის 21-40 გ/მ², კონუსის მოცულობა - 5100-25000 მ³, ხოლო მოძრავი ზვავის სიმაღლე -10,1-15,0 მ.

ცხრილი 4.6. 2 ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის, კონუსს მოცულობისა და სიმაღლის მიხედვით

დარტყმის ძალა			კონუსის მოცულობა			სიმაღლე		
გ/მ ²	რ-ბა	%	ათ.მ ³	რ-ბა	%	მ	რ-ბა	%
<20	12	17	<1,0	14	20	<10	18	26
21-40	22	32	1,1-1,5	22	32	10,1-15,0	29	42
41-60	15	22	5,1-25,0	18	26	15,1-20,0	10	14
61-80	17	25	25,1-100,0	10	15	20,1-25,0	10	14
>80	3	4	>100	5	7	>25	2	2

საქართველოს სამხედრო გზისთვის საშიში ზვავშემკრებები მდებარეობს სამივე, როგორც დაბალმთიან და საშუალომთიან, ისე მაღალმთიან ზონაში.

ზვავებისაგან დაცვის დროებითი დონისძიებები, რომელიც აღწერილი გვაქვს ნაშრომის მე -3 თავში, ითვალისწინებს თოვლის საფარზე ზემოქმედებას აფეთქების, ქიმიური მეთოდების, დამტვერიანების, კარნიზების მოხერხვის და დატკეპნვის გზით. ზვავებისაგან დაცვის დროებითი დონისძიებებიდან განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანი და ეფექტურია ობიექტებისათვის საშიში ზვავშემკრებებიდან ზვავების რეგულირებადი პროფილაქტიკური ჩამოშვება ანუ ზვავის კერტბის დამუშავება. ზვავის ხელოვნური გამოწვევა ზვავის კერის ნაღმტყორცნებისა და საარტილერიო სისტემის საშუალებით დაბომბვით, ზვავის კერაში მიტანილი ან შვეულმფრენებიდან ჩამოგდებული ასაფეთქებელი მასალების აფეთქებით ხდება. ადნიშნული ღონისძიება ტარდება, ძირითადად, იქ, სადაც ნაგებობები არ დგას ან ჩამოსულ ზვავს არ შეუძლია ისინი დაანგრიოს. ზვავების ხელოვნური გამოწვევა განსაკუთრებით კარგ შედეგს საავტომობილო, სარკინიგზო და სათხილამურო ტრასებზე იძლევა. დასახლებული ტრასების მიმდებარე ზვავის კერების დამუშავება დაბომბვითა და აფეთქებით ტრასებზე უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს, რადგან თუ ზვავები ჩამოვიდა, მოცემულ პერიოდში მეტად აღარ ჩამოვა, ხოლო თუ არ ჩამოვიდა ეს იმას ნიშნავს, რომ ფერდობებზე თოვლი მდგრადია და ზვავები არ ჩამოვა.

საქართველოში საავტომობილო მაგისტრალებზე ზვავების პროფილაქტიკური გამოწვევა დაბომბვისა და აფეთქების გზით საქართველოს სამხედრო გზაზე დაიწყო და მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის სპეციალისტებმა (პ. ცომაია, კ. აბდუშელიშვილი, ლ. ქალდანი, მ. სალუქაძე) გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ქსპერიმენტმა აჩვენა, რომ საარტილერიო სისტემდან სროლა ეფექტური აღმოჩნდა, და ზვავი ყველა იმ ფერდობიდან ჩამოვიდა, სადაც განხორციელდა ექსპერიმენტი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვება თოვის შეწყვეტის შემდეგ ხდება, როცა ხილვადობა კარგია და ერთი სისტემის გადაადგილება მრავალი ზვავის კერის დამუშავების საშუალებას იძლევა. თოვის დროს ხილვადობა ცუდია, ხოლო ზვავსაშიშ მონაკვეთზე გადაადგილება სახიფათო და ამიტომ, არც საარტილერიო სისტემის გამოყენება და არც ზვავის კერებში ასაფეთქებელი მასალის მიტანა და შვეულმფრენები ჩამოყრა არის შესაძლებელი. თოვის დროს შედეგიანია ზვავის კერის დასაბომბი წარტილების კოორდინატების წინასწარი დადგენა და მუდმივი საარტილერიო სისტემიდან მისაწვდომი ზვავის კერის დამუშავება ნებისმიერ ამინდში და ნებისმიერ დროს. ზვავებისაგან დაცვის დროებითი ღონისძიება შესაძლებელია გამოვიყენოთ ტრასებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად, სადაც მკაცრად იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები.

4.7. დაბა ფასანაურის და დუშეთის რაიონის სოფლების გვიდაქეს, მაქართასა და როშკას ზვავსაშიშროება

დუშეთის რაიონი, რომელიც ძირითადად მდ. არაგვის აუზს მოიცავს, რომელი რელიეფით ხასიათდება. სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით, ხოლო სამხრეთიდან მდ. არაგვის ხეობით. მდ. არაგვის აუზის დასავლეთ საზღვარს ლომისის ქედი წარმოადგენს, ჩრდილოეთ საზღვარს – კავკასიონის ქედი, ხოლო აღმოსავლეთ საზღვარს – ქართლის ქედი. ქედების საშუალო სიმაღლე შეადგენს 2000-3000 მ-ს ზღვის დონიდან, ხოლო ცალკეული მწვერვალების სამაღლე აღემატება 3000 მ-ს. გარდა ამ ქედებისა, საკლევ ტერიტორიაზე მდებარეობს მერიდიანული მიმართულების გუდამაყრის ქედი, რომელიც წარმოადგენს მდინარეების თეთრი არაგვის და მისი მარცხენა შენაკადის შავი არაგვის, ფშავი არაგვის და მისი მარჯვენა შენაკადის - ხევსურეთის არაგვის წყალგამყოფს.

დუშეთის რაიონში წლის ცივ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა წლიური ნორმის 37-57% შეადგენს. უხვთოვლიან ზამთარში თოვლის საფარის სიმაღლე 2000 მ-ის ზემოთ მდებარე მეტეოსადგურების მონაცემებით 386-455 სმ-ია. საშუალოთოვლიან ზამთარში მთელ ტერიტორიაზე თოვლის სიმაღლე 28-238 სმ-ია.

100 სმ-ზე ნაკლები თოვლის საშუალო სიმაღლე დაიკვირვება მხოლოდ 1500 მ-ის სიმაღლის ფერდობზე. მცირეთოვლიან ზამთარში 100 სმ-ზე მეტი თოვლის სიმაღლე დამახასიათებელია მხოლოდ 2000 მ-ის სიმაღლის ზემოთ. ცალკეულ ზამთრებში თოვისას აღინიშნება 100 სმ-ზე მეტი სიმაღლის მატება. განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში კი თოვლის სიმაღლის ნამატმა 200 სმ-ს გადაჭარბა, ხოლო დღულამურმა ნამატმა შეადგინა 100 სმ-ზე მეტი.

რელიეფის დიდი დანაწევრება, რთული ოროგრაფია, დიდი აბსოლუტური შეფარდებითი სიმაღლე, უტყეო და მეჩხერტყიანი ციცაბო ფერდობების ფართო გაერცელება, რთული კლიმატური პირობები განაპირობებენ დუშეთის რაიონში თოვლის ზვავების ფართო გავრცელებას.

დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურისა და სოფლების გვიდაქეს, მაქართასა და როშკას მიმდებარე ფერდობებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა განმეორადობისა და სიმძლავრის თოვლის ზვავების ჩამოსვლა, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

ოთხ საკვლევ ზემოთდასახელებულ პუნქტში შეიმჩნევა ზვავების ჩამოსვლა 29 ზვავის კერიდან; მათ შორის 14 ზვავშემკრები მდებარეობს დაბა ფასანაურის, 5 გვიდაქეს, 6 მაქართას და 4 როშკას მიდამოებში.

დაბა ფასანაური მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მთა გურდიმის (2099,1) აღმოსავლეთით მდებარეობს. დასახლებას შედარებით მცირე დახრილობის (2-10⁰) ტერასა უკავია, მაგრამ დასახლების დასავლეთით მდებარე მთა გურდიმის ფერდობი გამოირჩევა დიდი დახრილობით (20-40⁰), რაც თოვლის საფართან ერთად, რომელიც თითქმის ყოველ ზამთარში აღემატება 40-50 სმ-ს, ხელსაყრელ პირობას ქმნის ზვავების ჩამოსვლისათვის. იმ 14 ზვავშემკრებიდან, რომელიც დაბა ფასანაურის მიდამოებში მდებარეობს, განსაკუთრებით დიდი მთა გურდიმის ჩრდილო-აღმოსავლეთით უტყეო ფერდობზე მდებარეობს. ამ ზვავშემკრებიდან ჩამოსული ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 37 მ/წმ-ს შეადგენს, მაქსიმალური დარტყმის ძალა – 63 ტ/მ², ზვავის სიგრძე 2450 მ-ია, ხოლო კონუსის მოცულობა – 98400 მ³. თოთხმეტივე ზვავი აღწევს დაბა ფასანაურის დასახლებულ ტერიტორიას. მაგალითად დაბა ფასანაურში 1988 წლის 1 თებერვალს ჩამოსულმა ზვავმა ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ საცხოვრებელი სახლი არ დაზიანებულა. უნდა აღინიშნოს, რომ 1988 წლის ზამთარი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული უხევთოვლიანობით. ახალმოსული თოვლის სიმაღლის მატებამ 50 სმ შეადგინა, რაც იშვიათი არ არის დაბისათვის. ასეთი მატება 2-3 წელიწადში ერთხელ აღინიშნება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაბა ფასანაურის ზვავის კერების უმეტესობიდან ზვავების ჩამოსვლა შესაძლებელია ყოველ 2-3 წელიწადში. დიდი ზვავშემკრებიდან ჩამოსული ზვავები თითქმის ყოველწლიურად ჩამოდის, ოდონდ ისინი ჩერდებიან დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით და იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში, აღწევენ დასახლებამდე.

სოფ. გვიდაქე მდებარეობს მდ. გვიდაქეს (მდ. თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადი) და მისი მარჯვენა შენაკადების ფერდობებზე, სადაც ზამთრის კლიმატური პირობები მკაცრია და თოვლის მაქსიმალური სიმაღლე განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში 2 მ-ს აღწევს, საშუალოდ კი თოვლის სიმაღლე 50-60 სმ-ს აღემატება.

სოფლის მიდამოებში 5 ზვავშემკრებია. განსაკუთრებით გამოირჩევა ზვავშემკრები, რომელიც 2000 მ-ზე იწყება. ძვავის მაქსიმალური სიჩქარე 38 მ/წმ, დარტყმის ძალა 66 ტ/მ²-ზე, მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე 12 მ-დება, ხოლო კონუსის მოცულობა 12500 მ³. ზვავები სოფლის მიდამოებში იშვიათად (10-15 წელიწადში) ერთხელ ჩამოდიან და განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსახლეობას.

სოფ. მაქართა მდებარეობს მდ. შავი არაგვის, ასევე მისი, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა შენაკადების ტერასებსა და ფერდობებზე, ზღვის დონიდან

1190-1350 მ-ის სიმაღლეზე. ზამთრის კლიმატური პირობები აქაც მკაცრია. სოფლის მიდამოებში 6 ზვავშემკრებია. სამი ზვავშემკრებიდან ჩამოსული ზვავი ხასიათდება როგორც დიდი სიჩქარით (33-48 მ/წმ), ისე დიდი დარტყმის ძალით (60-70 ტ/მ²).

სოფ. მაქართას მიდამოებში მდებარე ზვავის კერებში ზვავის წარმოქმნა, თითქმის, ყოველ ზამთარში ხდება, ხოლო უხევთოვლიან ზამთარში - რამოდენიმეჯერაც კი და უახლოვდება დასახლებულ პუნქტს. განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში კი ამ ზვავებმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას სოფლის მოსახლეობას.

სოფ. როშკა მდ. როშკას (მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, ზღვის დონიდან 1900-2000 მ-ზე მდებარეობს. ზამთარი სოფ. როშკას მიდამოებშიც მკაცრია და 5-6 თვის განმავლობაში გრძელდება. თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 250-300 სმ-ია, საშუალოდ კი ყოველ მეორე ზამთარში თოვლის სიმაღლე აღემატება 100 სმ-ს.

როშკაში 4 ზვავშემკრებია, რომელთა სიჩქარე 24-28 მ/წმ-მდეა, დარტყმის ძალა - 26-36 ტ/მ² -ის ფარგლებშია. მოძრავი ზვავის სიმაღლე 14-15 მ-ია, ხოლო კონუსის მოცულობა 9400 მ³ -დან 51000 მ³- მდეა. მ ზვავშემკრებებიდან ზვავები ყოველ საშუალო და უხევთოვლიან ზამთარში ჩამოდის, მაგრამ დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით ჩერდება. განსაკუთრებით უხევთოვლიან ზამთარში კი ზვავები სოფლამდე აღწევენ.

დუშეთის რაიონისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა განმეორადობის და სიმძლავრის თოვლის ზვავები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ცალკეულ უბნებს. მცირე სიმძლავრის ზვავებმა, ანუ იმ ზვავებმა, რომლებიც დასახლებულ ტერიტორიამდე უკვე ძალადაკარგული აღწევენ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლეს სხვადასხვა საქმიანობის ან გადაადგილების შემთხვევაში. ზვავები მაქსიმალურ სიჩქარეებს აღწევენ ზვავშემკრებების სხვადასხვა მონაკვეთებზე, რაც განპირობებულია ზვავშემკრებების მიკრორელიფით (ცხრ.4.6.1).

განსაკუთრებით ფართო გავრცელებით ხასიათდებიან ზვავები, რომელთა მაქსიმალური სიჩქარე შეადგენს 20-30 მ/წმ-ს (ყველა ზვავის 41%); მცირე მაქსიმალური სიჩქარის (<20 მ/წმ) ზვავები შეადგენენ 28%-ს, ხოლო განსაკუთრებით დიდი მაქსიმალური სიჩქარის (48მ/წმ) ხასიათდება მხოლოდ ერთი ზვავი.

ცხრილი 4.6.1. ზვავების დახასიათება მაქსიმალური სიჩქარეების და მაქსიმალური დარტყმის ძალის მიხედვით

მაქსიმალური სიჩქარე			მაქსიმალური დარტყმის ძალა		
მ/წმ	რ-ბა	%	ტ/მ ²	რ-ბა	%
<20	8	28	<10	6	20
21 -30	12	41	11 - 30	7	24
31 - 40	8	28	31 - 50	8	28
>40	1	3	>50	8	28

მოძრაობის სიჩქარის შეასბამისად სხვადასხვა ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალაც სხვადასხვაა (ცხრ. 4.6.1). ზვავების 20%-ს აქვს 10ტ/მ²-ზე ნაკლები დარტყმის ძალა, 24%-ს - 30 ტ/მ² - მდე; განსაკუთრებით დიდი მაქსიმალური დარტყმის ძალით (>50 ტ/მ²) ხასიათდება 8 ზვავი (საერთო რაოდენობის 28%).

ტერიტორიაზე ზვავები არ გამოირჩევიან მოძრავი ზვავის დიდი სიმაღლეებით, ხოლო ზვავების უმრავლესობა ხასიათდება ზვავის გამოზიდვის კონუსის მცირე მოცულობით (ცხრ. 4.6.2).

ცხრილი 4.6.2. ზვავების დახასიათება მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლით და კონუსის მაქსიმალური მოცულობის მიხედვით.

მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე			კონუსის მაქსიმალური მოცულობა		
მეტრი	რ-ბა	%	1000მ ³	რ-ბა	%
<5	6	20	<1	8	28
5 - 10	13	45	1 - 5	8	28
10,1 - 15	6	20	5,1 - 10	6	20
>15	4	15	10,1 - >50	7	24

როგორც ცხრილიდან ჩანს ზვავების 45%-ის სიმაღლე 5-დან 10 მ-ის ფარგლებშია, 15 მ-ზე მეტი სიმაღლით ჩამოსული ზვავების მხოლოდ 5% ხასიათდება. 1000 მ³ -ზე ნაკლები კონუსის მოცულობის და 1000 მ³ -დან 5000 მ³- მდე 8 ზვავია, ხოლო 5000 მ³-ზე მეტი – 7 ზვავია. განსაკუთრებით მცირე კონუსის (100 მ³) მქონე ზვავი დაბა ფასანაურში გვხვდება, ხოლო განსაკუთრებით დიდი კონუსის მაქსიმალური მოცულობის (624000 მ³) ერთი ზვავია და ის სოფ. მაქართაში მდებარეობს.

დუშეთის რაიონის ამ დასახლებული პუნქტებისათვის საინჟინრო დონისძიებების ჩატარება, მათი ძვირადღირებულების გამო, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. საინჟინრო ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებები მოითხოვს სამშენებლო მასალის ადგილზე მიტანას, ფერდობზე გზის გაყვანის აუცილებლობას, რაც გამოიწვევს ისედაც შემეჩერებული ტყის მასივების განადგურებას, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას და მასთან დაკავშირებული არასასურველი პროცესების განვითარებას. აქედან გამომდინარე ამ რაიონისათვის მიზანშეწონლად მიგვაჩნია ზვავსაშიშ ფერდობებზე ტყის მასივების დაცვა, არსებული ტყის საფარის მოვლა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ზვავსაშიშ ფართობების შემცირებას.

ბოლო წლებში ადგილობრივ მოსახლეობაში შეიმჩნევა სწრაფვა მიატოვონ საცხოვრებელი ადგილები და ჩასახლდნენ უფრო უსაფრთხო რაიონებში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დუშეთის რაიონის ზვავსაშიში სოფლები მოითხოვს ზვავსაშიშროების უფრო დეტალურ შესწავლას, რათა დადგინდეს უსაფრთხო ადგილები საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

4.8. შიდა ქართლის ზვავსაშიშროება

შიდა ქართლში თოვლის ზვავები სამი მდინარის - ლიახვის, ერმანდონის და ქსნის სათავეებში გვხვდება. პირველი ზვავსაშიში უბანი მდ. ლიახვის მონაკვეთია სოფ. ვანელიდან მდ. როკას (მდ. ლიახვის მარჯვენა შენაკადი) შესართავამდე და თავად მდ. როკას აუზი. მეორე უბანი - მდ.ერმანდონის აუზი, ხოლო მესამე უბანი - მდ. ქსნის აუზის ნაწილს მოიცავს.

ტერიტორიის ზვავსაშიშროებას განსაზღვრავს გეოგრაფიული პირობები, კურძოდ ფერდობების დახრილობა, მცენარეული საფარი და უხვი ნალექები, ამიტომ მოკლედ განვიხილავთ მათ თავისებურებებს ზვავსაშიში უბნებისათვის.

